პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 29 (10115) | პარასკევი, 4 თებერვალი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

3 თებერვალს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია.

დღის 12 საათზე გაიმართა ეროვნებათა საბჭოს სხდომა, ნაშუადღევის 3 საათზე — კავშირის საბჭოს სხდომა.

ეროვნებათა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. დ. ნაზარენკოს მოხსენება ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ გამოკლებულია ნაცვლად — პენჯიკენტის № 292 საარჩევნო ოლქში (ტაჯიკეთის სსრ) და კოლმის № 576 საარჩევნო ოლქში (იაკუტის ასსრ). ამ ოლქებში დეპუტატებად არჩეული არიან ხ. მავლიანოვა და კ. ს. ანდრიანოვი.

კავშირის საბჭოს სხდომაზე სამანდატო კომისიის მოხსენება გააკეთა დეპუტატმა ი. დ. ბუსტაფაევმა, რომელმაც გააკეთა ცნობა კავშირის საბჭოს დეპუტატად ბელორეკეკის № 361 საარჩევნო ოლქში ფ. ა. ვიზგალოვის არჩევის შესახებ.

პალატებმა დამტკიცეს სამანდატო კომისიის მოხსენებანი და ცნეს ახალადარჩეულ დეპუტატთა რწმუნებანი.

პალატების ცალცალკე სხდომებზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სესიის დღის წესრიგში შეტანილ იქნას შემდეგი საკითხები:

1. სსრ კავშირის 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

2. საერთაშორისო მდგომარეობისა და სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

* * *

საღამოს ხუთ საათზე გაიხსნა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა. დარბაზში არის მრავალი სტუმარი — მოსკოვის მრეწველობის მოწინავეები, დედაქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის მეომრები. სავსეა დიპლომატიური კორპუსის, საბჭოთა და უცხოეთის პრესის ლოჟები.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი, კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. ტ. კალჩენკო, ა. ა. ლებედევი, ვ. პ. მეჟლაუნიძე, ზ. ს. ომაროვა, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. ე. ავხიმოვიჩი, პ. ტ. კომაროვი, მ. მ. სულტანოვი, პ. გ. ტიჩინა.

მთავრობის ლოჟებში აღგილებს იკავებენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. კირიჩენკო, პ. კ. პონომარენკო, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ნ. შატალინი. დეპუტატები და სტუმრები მათ მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. ყველანი ფეხზე დგებიან.

თავმჯდომარე დეპუტატი ვ. ტ. ლაცისი მოხსენებისათვის სსრ კავშირის 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ სიტყვას აძლევს სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრს დეპუტატ ა. გ. ზვერევს.

— სსრ კავშირის 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, — ამბობს ამხ. ზვერევი, — ემყარება სახალხო მეურნეობის განვითარების, საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ამოცანების, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს.

ბიუჯეტით გათვალისწინებულია საჭირო სახსრები მრეწველობის და, პირველ რიგში, მძიმე ინდუსტრიის შემდგომი გაფართოებისათვის. მძიმე მრეწველობის დაჩქარებული განვითარება იყო და კვლავ არის გადამწყვეტი ამოცანა სოციალიზმის მშენებლობისა და ჩვენი ქვეყნის წარმატებითი წინსვლისა კომუნიზმის გზით.

ბიუჯეტით გათვალისწინებულია აგრეთვე აუცილებელი სახსრები სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და სწრაფი ზრდისათვის და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაღიდებისათვის.

ამხანაგებს რა გასული წლის შედეგებს, მომხსენებელი ამბობს, რომ მრეწველობის საერთო პროდუქცია 1954 წელს გადაღდა 13 პროცენტით და 1950 წლის წარმოების დონეს 65 პროცენტით გადააჭარბა. მრეწველობის განვითარების ამ პროგრამის განხორციელება, რომელიც მთავრობამ მიმდინარე წლისათვის დააწესა, უზრუნველყოფს ხუთწლიანი გეგმის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებას, ხუთწლიანი გეგმისა, რომელიც სამრეწველო წარმოების ზრდას 1955 წელს ითვალისწინებს დაახლოებით 70 პროცენტით 1950 წლის დონესთან შედარებით.

კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები წარმატებით ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პროგრამას, რომელიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს. 1954 წელს ყამირი და ნასვენი მიწები 1954 და 1955 წლების მოსავლისათვის მოხნულია 17,6 მილიონი ჰექტარი, გეგმით კი გათვალისწინებული იყო 13 მილიონი ჰექტარი.

მნიშვნელოვნად გაღიდდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება.

სოციალისტური წარმოების გაფართოებისა და შრომის ნაყოფიერების გაღიდების შედეგად სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 1954 წელს 11 პროცენტით გაღიდდა და ერთნახევარჯერ მეტი იყო, ვიდრე 1950 წელს. ამან უზრუნველყო კაპიტალდაბანდებათა შემდგომი გაღიდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და მოსახლეობის შემოსავლის ზრდა.

სსრ კავშირის 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულებულია გასავალზე შემოსავლის 25,1 მილიარდი მანეთის გადაჭარბებით, 1954 წლის ბიუჯეტი, წინასწარი მონაცემებით, — გასავალზე შემოსავლის 4,7 მილიარდი მანეთის გადაჭარბებით.

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც შედგენილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად. სსრ კავშირის ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შემოტანილია: შემოსავლის ნაწილში 589,6 მილიარდი მანეთის რაოდენობით და გასავლის ნაწილში — 562,9 მილიარდი მანეთის რაოდენობით, შემოსავალი გასავალს სჭარბობს 26,7 მილიარდი მანეთით.

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები 1955 წელს მნიშვნელოვანწილად მოხმარდება სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებას.

მძიმე ინდუსტრიაში დაბანდდება იმ სახსრების ძირითადი ნაწილი, რომლებიც მოხმარდება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებას. ეს შესაძლებლობას მოგვცემს სერიოზულად გავადიდოთ მეტალურგიული, ქვანახშირის, ნავთობის, ენერგეტიკული და ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობისა და მძიმე ინდუსტრიის სხვა დარგების წარმოება.

დიდი სახსრები გამოიყოფა სოფლის მეურნეობის აღჭურვისათვის უახლესი მოხმარებითა და იარაღებით, ყამირი და ნასვენი მიწების შემდგომი ათვისების გზით ნათესი ფართობების გაღიდებისათვის, მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის.

დიდ სახსრებს ახმარს რა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სოციალისტური ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებას, — ხაზგასმით აღნიშნავს მომხსენებელი, — ჩვენი სახელმწიფო მტკიცე საფუძველს ქმნის ხალხთა ცხოვრების დონის სისტემატური ამაღლებისათვის. სახალხო მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასები მეხუთე ხუთწლედის გასულ ოთხ წელიწადში შემცირდა 25 პროცენტით და მეტით. საცალო ფასების შემცირების დავალება, რაც გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით, ვადამდე შესრულდა ოთხ წელიწადში. მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასის გაღიდება, რაც გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით, აგრეთვე ვადამდე შესრულდა. რეალური ხელფასი უკვე 1954 წელს 1950 წელთან შედარებით გაღიდდა 37 პროცენტით მთელი ხუთწლედისათვის გათვალისწინებული 35 პროცენტის ნაცვლად. მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავალი.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების აუცილებლობაზე. 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ხარჯები თავდაცვისათვის გათვალისწინებულია 112,1 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

ახასიათებს რა მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებს, მინისტრი აღნიშნავს, რომ ისინი საჭირო სახსრებით უზრუნველყოფენ რესპუბლიკებში დიდი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის განხორციელებას.

მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია შინასამეურნეო დაგროვების — ბიუჯეტის შემოსავლის ზრდის საფუძვლის გაღიდებასთან.

ბიუჯეტში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემოსავალს სოციალისტური საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისაგან, რაც 1955 წელს შეადგენს მთელი შემოსავლის 84 პროცენტზე მეტს. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია შინასამეურნეო დაგროვების ყოველი დონისძიებით გაღიდება და სახალხო მეურნეობაში არსებული რეზერვების რაც შეიძლება სრული მობილიზაცია.

სოციალისტური მეურნეობისაგან შემოსავლის მიღება მთლიანად დამოკიდებულია საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ წარმოების გეგმების, შრომის ნაყოფიერების გაღიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებათა წარმატებით შესრულებაზე, მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების გამოყენებაში უსასტიკესი ეკონომიის განხორციელებაზე.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ თუმცა სამინისტროებმა მთლიანად წარმოების გეგმები შეასრულეს, ბევრი საწარმო ჯერ კიდევ ვერ ასრულებს პროგრამას, რის შედეგადაც ჩვენს ქვეყანას აკლდება მილიარდობით მანეთის სამრეწველო პროდუქცია. ცალკეული საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები, გადაჭარბებით ასრულებენ რა დავალებებს არადეფიციტურ საეთაოთა პროდუქციის დარგში, ამავე დროს ვერ ასრულებენ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმებს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაგმო ასეთი პრაქტიკა, როგორც სახელმწიფოსათვის მავნე, და სამინისტროებსა და უწყებებს აუკრძალა იმ მეორეხარისხოვანი და არადეფიციტური ნაწარმის გეგმის გადაჭარბებით გამოშვება, რომლებიც ნაკლები რაოდენობით სდღება.

1955 წელს რომ უზრუნველვყოთ შინასამეურნეო დაგროვებისა და ბიუჯეტის შემოსავლის ზრდა, საჭიროა შევასრულოთ სახალხო მეურნეობის გეგმით დაწესებული დავალება მრეწველობაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა 4,5 პროცენტით და მშენებლობის ღირებულების შემცირებისა 3 პროცენტით.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შინასამეურნეო დაგროვების გადიდების უმთავრესი პირობაა შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდება.

მოხსენებაში გაკრიტიკებულ იქნა სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის, სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის, სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის, სსრ კავშირის თევზის მრეწველობის და ზოგიერთი სხვა სამინისტრო, რომლებმაც ვერ შეასრულეს 1955 წლისათვის დაწესებული დავალებანი პროდუქციის თვითღირებულებისა და დაგროვების დარგში.

შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შინასამეურნეო დაგროვების გაღიდების სერიოზული რეზერვები აქვთ აგდელობრივი და კოოპერაციული მრეწველობის საწარმოებს, რომლებიც მოწოდებული არიან გაადიდონ ფართო მოხმარების საგნების წარმოება და გააუმჯობესონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. აგდელობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის ბევრი საწარმო კი სუსტად ეწევა ამ რეზერვების მობილიზაციას, ვერ ასრულებს საწარმოო პროგრამას და ზარალით მუშაობს.

საფინანსო ორგანოებისა და ბანკების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უზრუნველყონ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის გეგმის უფუო შესრულება.

კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ, ამბობს მომხსენებელი, უკანასკნელ ხანს მიიღეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია სამშენებლო ინდუსტრიის განმტკიცება, რამაც ყოველმხრივ უნდა გააფართოოს მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების გამოყენება. მშენებლობის თვითღირებულების შემცირებისათვის სერიოზული მნიშვნელობა აქვს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას მშენებლობებზე, მათი ფინანსური მეურნეობის სწორ ორგანიზაციას. საჭიროა გაუმჯობესდეს კონტროლი სამინისტროებსა და უწყებებში პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შემუშავებისადმი, არ იქნას დაშვებული ზედმეტობა პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში.

მომხსენებელი ლაპარაკობს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა დაფინანსებაზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დღეებში გამართულმა პლენუმმა დასახა უახლოეს ხუთ-ექვს წელიწადში მარცვლეულის საერთო მოსავლის წელიწადში სულ ცოტა 10 მილიარდ ფუთამდე და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების ერთიორად და მეტად გადიდების პროგრამა. სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის ასიგნებათა შემდგომი ზრდა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის ღონისძიებანი, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ, უზრუნველყოფენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განტკიცებას, იწვევენ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ნატურალური და ფულადი შემოსავლის განუწყვეტელ ზრდას. კოლმეურნეობათა ეკონომიკისა და ფინანსების განმტკიცების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია განუყოფელ ფონდებში გადარიცხვის გადიდება და კაპიტალდაბანდებათა ზრდა კოლმეურნეობებში. 1955 წელს ფულადი ხარჯები კოლმეურნეობებში კაპიტალდაბანდებებისათვის დაახლოებით 18 მილიარდი მანეთი იქნება, 1953 წლის 12,5 მილიარდი მანეთისა და 1952 წლის 10,9 მილიარდი მანეთის ნაცვლად. მთავრობა კოლმეურნეობებს დიდ დახმარებას უწევს კრედიტების მიცემით. 1955 წელს სასოფლო-სამეურნეო ბანკი კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს მისცემს 5,2 მილიარდ მანეთ გრძელვადიან კრედიტებს.

მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში სერიოზული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური სახელმწიფოს წლითიწლობით მზარდ ხარჯებს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის. ამ მიზნებისათვის წელს ასიგნებულია 146,9 მილიარდი მანეთი. ბიუჯეტი საჭირო სახსრებით უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დირექტივების შესრულებას ხუთწლედის ბოლოსათვის შვიდწლიანი განათლებიდან რესპუბლიკების დედაქალაქებში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, საოლქო, საჰხარი და უდიდეს სამრეწველო ცენტრებში საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების შესახებ. 1955 წელს 1950 წელთან შედარებით მოსწავლეთა კონტინგენტი მე-8—10 კლასებში ოცდაჯერ და მეტად. დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების შესანახი ხარჯების საერთო თანხა 23 მილიარდი მანეთი იქნება 1940 წლის 8,2 მილიარდი მანეთის ნაცვლად. უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მიმდინარე წლის შემოდგომაზე მიღებული იქნება ერთ მილიონზე მეტი კაცი. ფართოვდება საღამოს და დაუსწრებელი სწავლება, რაც პრაქტიკულ მუშაკებს შესაძლებლობას აძლევს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მიიღონ უმაღლესი და საშუალო განათლება.

გამოჰყოფს რა სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის დიდ სახსრებს, მთავრობა ამასთან ერთად მოითხოვს ამ სახსრების ყაირათიანად გამოყენებას. რესპუბლიკების განათლების ორგანოებმა, აგრეთვე შრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა მიიღონ სასკოლო ქსელის მოწესრიგების ღონისძიებანი და უზრუნველყონ ამ მიზნებისათვის ასიგნებული სახსრების ეფექტიანი ხარჯვა.

უმნიშვნელოვანესი პირობა მრეწველობის შემდგომი განვითარების, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა და საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების იმ ამოცანების განხორციელებისა, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს, არის სახელმწიფო მმართველობის აპარატის საქმიანობის გაუმჯობესება, სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის უფრო მაღალი ღონის უზრუნველყოფა. უკანასკნელ ხანს პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მითითების შესაბამისად განხორციელებულია მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მმართველობის აპარატის საქმიანობის გაუმჯობესება. ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება, შესაძლებლობას მოგვცემენ მმართველობის აპარატიდან გავათავისუფლოთ მუშაკთა დიდი რაოდენობა და ისინი გავგზავნოთ უშუალოდ წარმოებაში — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და სხვა დარგებში. ამავე დროს ეს შესაძლებელს გახდის დავუზოგოთ სახელმწიფოს მნიშვნელოვანი სახსრები.

სამმართველო აპარატი უნდა იყოს მოქნილი და ოპერატიული, უნარი ჰქონდეს კონკრეტულად და კვალიფიციურად უხელმძღვანელოს საწარმოებსა და ორგანიზაციებს, უზრუნველყოს წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევების, ყოველივე მოწინავის, პროგრესულის უსწრაფესად დანერგვა.

საბჭოთა ხალხი, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, ამბობს დასასრულს მომხსენებელი, ფართოდ აჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებას შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის გამოშვების ზრდისა და მისი მაღალი ხარისხისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, ახორციელებს რა მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარების, სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და ამ საფუძველზე ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების გრანდიოზულ პროგრამას.

1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც წარმოდგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად, საჭირო სახსრებია უზრუნველყოფს სოციალისტური ეკონომიკის ახალ, მძლავრ აღმავლობას, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას და ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. ბიუჯეტის შესრულება ხელს შეუწყობს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში ახალ წარმატებათა მიღწევას. (საკდესი).

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გაღიდების შესახებ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1955 წლის 25 იანვარს

ამხანაგებო! ახორციელებს რა პოლიტიკას, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა, ჩვენმა ქვეყანამ უკანასკნელ პერიოდში ახალ აღმავლობას მიაღწია სახალხო მეურნეობის განვითარებასა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი მიღწევები სოციალისტური მრეწველობის დარგში.

ისევე როგორც წინათ, პარტიას მთავარ ამოცანად მიაჩნია მძიმე ინდუსტრიის განვითარება, რადგან მხოლოდ მის საფუძველზე ვითარდება ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობა, კერძოდ, მსუბუქი, კვების მრეწველობა და მრეწველობის სხვა დარგები, ჩვენი სოფლის მეურნეობა. წლითიწლობით იზრდება ლითონის, მანქანებისა და ელექტროენერგიის წარმოება, მატულობს ქვანახშირისა და ნავთობის მოპოვება. მზარდი მძიმე ინდუსტრიის ბაზაზე ფართოვდება ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სახალხო მოხმარების სხვა საქონლის წარმოება. სულ უფრო დიდი მასშტაბით წარმოებს სამრეწველო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო მშენებლობა.

სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა მოცულობა მრეწველობაში მეხუთე ხუთწლედის ოთხ წელიწადში მეოთხე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით ერთიორად გადიდდა. 1954 წელს მიღწეულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მნიშვნელოვანი ზრდა, რასაც მოწმობენ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ამ დღეებში გამოქვეყნებული ცნობის მონაცემები.

მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებაში საბჭოთა კავშირმა დიდ წარმატებებს მიაღწია იმ თავდადებული შრომის შედეგად, რასაც ეწევიან გმირი მუშათა კლასი, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, ჩვენი სახალხო ინტელიგენცია, რომლებიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განუხრელად ახორციელებენ ვ. ი. ლენინისა და მისი საქმის ერთგული განმგრძობის სტალინის მითითებებს მძიმე ინდუსტრიის, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების საფუძვლის, განვითარების შესახებ.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ „სოციალიზმის ერთადერთი მატერიალური საფუძველი შეიძლება იყოს მსხვილი მანქანური მრეწველობა, რომელსაც შეუძლია გარდაქმნას მიწათმოქმედებაც“, რომ, მძიმე მრეწველობა თუ არა, „ჩვენ ვერ შევძლებთ ვერავითარი მრეწველობის აშენებას, უიმისოდ კი ჩვენ საერთოდ დავიღუპებით, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა“.

ავითარებდა რა ლენინის მითითებებს, ი. ბ. სტალინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მძიმე მრეწველობის განვითარების ტემპების შენელება „იქნებოდა თვითმკვლელობა, ძირის გამოთხრა მთელი ჩვენი მრეწველობისათვის, მათ შორის მსუბუქი მრეწველობისთვისაც. ეს იქნებოდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგიდან გადახვევა, ჩვენი ქვეყნის გადაქცევა მეურნეობის მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის დანამატად“.

მძიმე ინდუსტრიის ყოველი ღონისძიებით განვითარების ამ ერთადერთ სწორ ხაზს, რომელიც დიდმა ლენინმა დასახა, პარტია განუხრელად ახორციელებდა სტალინის ხელმძღვანელობით. იგი თანმიმდევრულად ახორციელებს ამ ხაზს ამჟამად და მტკიცედ განახორციელებს მას კვლავაც!

უკანასკნელ ხანს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებით ცალკეულ ამხანაგებს არევდარევა შეაქვთ ჩვენი ქვეყნის მძიმე და მსუბუქი მრეწველობის განვითარების ტემპების საკითხში. იმოწმებენ რა მათ მიერ არასწორად და ვულგარიზატორულად გაგებულ სოციალიზმის ძირითად ეკონომიურ კანონს, ასეთი ვაითეორეტიკოსები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ სოციალისტური მშენებლობის რომელიღაც ეტაპზე მძიმე მრეწველობის განვითარება თითქოს აღარ არის მთავარი ამოცანა და რომ მსუბუქ მრეწველობას შეუძლია გაუსწროს და კიდევაც უნდა გაუსწროს ინდუსტრიის ყველა სხვა დარგს. ეს უაღრესად მცდარი, მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის უცხო მსჯელობაა. ეს სხვა არა არის რა, თუ არა ცილისწამება პარტიაზე. ეს არის ნაშთი მემარჯვენე გადახრისა, ნაშთი ლენინიზმისადმი მტრული შეხედულებებისა, რომლებსაც ერთ დროს რიკოვი, ბუხარინი და ძმანი მათნი ქადაგებდნენ.

მთავარი ამოცანა, რომლის გადაწყვეტას პარტია ახმარს მთელ თავის ძალებს, იყო და კვლავ არის საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცება და მაშასადამე, დაჩქარებული განვითარება მძიმე ინდუსტრიისა, რომელიც შეადგენს ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობისა და ურყევი თავდაცვისუნარიანობის მტკიცე საფუძველს, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების წყაროს. მხოლოდ მძიმე მრეწველობისა და ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის ზრდის ბაზაზე შეიძლება უზრუნველვყოთ უახლესი ტექნიკის ფართოდ დანერგვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, შრომის ნაყოფიერების სისტემატური გადიდება. მხოლოდ დიდად განვითარებული მძიმე ინდუსტრიის ბაზაზე შეიძლება მზარდი ტემპებით აღვჭურვოთ სოფლის მეურნეობა თანამედროვე ტექნიკით. მხოლოდ მძიმე მრეწველობის წარმატებათა ბაზაზე შეიძლება უზრუნველვყოთ მსუბუქი, კვების მრეწველობისა და მრეწველობის სხვა დარგების შემდგომი განვითარება, სოფლის მეურნეობის აღმავლობა.

საკვირველია, რომ ზოგიერთ ჩვენს ეკონომისტს დღემდე ვერ შეუგნია მარქსიზმ-ლენინიზმის ეს საყოველთაოდ ცნობილი დებულებანი, რომელთა სისწორე დადასტურებულია ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის მთელი მსვლელობით. საჭიროა ვაწარმოოთ ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც ფიქრობს, რომ ახლა შეიძლება დავკმაყოფილდეთ მძიმე მრეწველობის განვითარების მიღწეული დონით და მთავარ საზრუნავად გავიხადოთ მსუბუქი და კვების მრეწველობის აღმავლობის ამოცანები. უნდა შევიგნოთ, რომ ასეთ ანტილენინურ შეხედულებათა პროპაგანდა განსაკუთრებით შეუწყნარებელია თანამედროვე პირობებში, როცა ჩვენი პარტია საბჭოთა ხალხის მთელ ძალღონეს ახმარს კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების გადაწყვეტას, ისეთ პირობებში, როცა იმპერიალისტური სახელმწიფოები გააფთრებით ემზადებიან ომისათვის.

განუწყვეტლივ ზრუნავს რა მშრომელთა კეთილდღეობისათვის, კომუნისტური პარტია არასოდეს არ ივიწყებდა მრეწველობის იმ დარგების განვითარების ამოცანას, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს აწარმოებენ. მძიმე ინდუსტრიის მძლავრი აღმავლობის საფუძველზე პარტია ავითარებდა და კვლავაც განავითარებს მსუბუქ მრეწველობას, სოფლის მეურნეობას. სწორედ ამას მოწმობენ ღონისძიებანი, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის. ეს ღონისძიებანი მით უფრო წარმატებით განხორციელდება, რაც უფრო მეტი და მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი მიღწევები მძიმე ინდუსტრიის განვითარებაში.

საერთოდ სოციალისტური მრეწველობისა და განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის ყოველი ღონისძიებით განვითარება მთავარი ამოცანაა კომუნიზმის მატერიალურ-საწარმოო ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში. კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის საჭიროა, მძლავრ. მრეწველობასთან ერთად, გვქონდეს ყოველმხრივ განვითარებული სოფლის მეურნეობა, რომელსაც უნარი შესწევს აწარმოოს იმდენი სურსათი და სასოფლო-სამეურნეო ნედლეული, რამდენიც საჭიროა მოსახლეობის შეუფერხებლად მომარაგებისა და სახელმწიფოს სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. მაგრამ სოფლის მეურნეობის მთელი რიგი მნიშვნელოვანი დარგების განვითარებაში უკანასკნელი წლების მანძილზე სერიოზული ჩამორჩენა იყო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა, აღნიშნა რა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთელი რიგი დარგების შემდგომი ჩამორჩენის შეუწყნარებლობა, მითითება მოგვცა, რომ ახლანდელ ეტაპზე ყველაზე არსებითი და უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანა ის არის, რომ, ყოველი ღონისძიებით შემდგომ განვავითარებთ რა მძიმე ინდუსტრიას, მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრ აღმავლობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის, აგრეთვე თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა განსაზღვრეს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ძირითადი გზები. ნება მიბოძეთ გაგაცნოთ ზოგიერთი მონაცემი იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება ეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი.

მიუხედავად იმისა, რომ გასული წლის მეტეოროლოგიური პირობები ხელსაყრელი არ იყო ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი რაიონებისათვის და გვალვამ გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთო მოსავლის მკვეთრი შემცირება სამხრეთ უკრაინაში და ვოლგისპირეთის რაიონებში, გასულ წელს ჩვენმა ქვეყანამ პური, კარტოფილი, ბოსტნეული, ხორცი, ერობა-კარაქი და სხვა პროდუქტები მიიღო მეტი, ვიდრე 1953 წელს. ამან საშუალება მოგვცა გაგვიდიდებინა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო დამზადებისა და შესყიდვის მოცულობა.

ასეთია სოფლის მეურნეობის დარგში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინა პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების პირველი შედეგი.

მეორე, არანაკლებ მ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გაგრძელება

ზრდას, რომელთაგან ბევრმა მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია და თავისი წარმატებანი გვიჩვენა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

განვლილი წლის შედეგები ცხადყოფენ, რომ მხოლოდ საფუძველი ჩაეყარა იმ დიდ მუშაობას, რომელიც უნდა განხორციელდეს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანების გადასაჭრელად. არ შეიძლება შევურიგდეთ უდარდელობისა და განცხრომის, პირველი წარმატებებით თვითკმაყოფილების განწყობილებებს. სოფლის მეურნეობის აღმავლობის პროგრამა, რომელიც პარტიამ შეიმუშავა, შეუნელებელი ენერგიით უნდა ხორციელდებოდეს.

მარცვლეულის წარმოების გადიდება მეცხოველეობის აღმავლობის გადამწყვეტი პირობაა

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინა პლენუმებზე საფუძვლიანად იქნა განხილული ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების გადიდების საკითხები. დღეს, როცა ვიწყებთ მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ამოცანების განხილვას, ჩვენ უნდა ვემყარებოდეთ იმას, რომ მარცვლეულის წარმოების გაფართოება გადამწყვეტი პირობაა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის და უწინარეს ყოვლისა მისი ისეთი მნიშვნელოვანი დარგის აღმავლობისათვის, როგორიც არის მეცხოველეობა.

ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმმა აღნიშნა, რომ მარცვლეულის წარმოების ამჟამად არსებული დონე როგორც პროდუქციის საერთო მოსავლის, ისე მისი სასაქონლო ნაწილის მხრივ ვერ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის მზარდ საჭიროებებს. ჩვენ რომ მარცვლეული ჰარბად გვქონდეს არა მარტო მოსახლეობის მოხმარებისათვის, არამედ მეცხოველეობის საჭიროებათა დაკმაყოფილებისთვისაც, ჩვენს ქვეყანაში არ იგრძნობოდა მეცხოველეობის პროდუქტების ნაკლებობა.

შეუძლიათ გვკითხონ: რატომ იყო მიჩნეული ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ, რომ პური გვყოფნის, ახლა კი ასე მტკიცედ ისმება მარცვლეულის წარმოების მკვეთრად გადიდების ამოცანა? ამ კითხვაზე რომ ვუპასუხოთ, საჭიროა განვიხილოთ, თუ რა ცვლილებები მოხდა ჩვენს ქვეყანაში ომისშემდგომ პერიოდში და კვლავ ხდება ამჟამად. მოკლედ შევჩერდები ამ ცვლილებათაგან უმნიშვნელოვანეს ცვლილებებზე.

პირველი, პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად დიდად ამაღლდა და კვლავ განუხრელად მაღლდება ხალხის კეთილდღეობის დონე. ომისშემდგომ პირველ წლებში. როცა ფასები მაღალი იყო, ბევრი იძულებული იყო შეეზღუდა თავისი მოხმარება. მაშინ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მარცვლეული და სხვა პროდუქტები სავსებით საკმარისი იყო ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ფასების შემცირებასთან დაკავშირებით მოსახლეობის მოთხოვნილება სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბევრად გადიდდა და ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება.

მეორე, ჩვენს ქვეყანაში შობადობის ზრდისა და სიკვდილიანობის შემცირების მეოხებით მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება 3 მილიონზე მეტი კაცით. მოსახლეობის ასეთი ზრდის შედეგად იზრდება მოთხოვნილება პურსა და სხვა პროდუქტებზე.

მესამე, ჩვენში წლითიწლობით იზრდება ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობა. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ქალაქის მოსახლეობის რიცხვი გაიზარდა დაახლოებით 17 მილიონი კაცით. ეს ზრდა ხდება უმთავრესად სოფლის მოსახლეობის ნაწილის ქალაქში გადასვლის გზით. მაგალითად, ამავე ხუთი წლის მანძილზე სოფლიდან ქალაქში გადასახლდა 9 მილიონზე მეტი კაცი. ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს, რომ აქ ხდება მოხმარების უბრალო გადანაწილება, რომ ორივე შემთხვევაში მოსახლეობას ერთი და იმავე რაოდენობით სჭირდება პროდუქტები. სინამდვილეში საქმის ვითარება სხვანაირია, რადგან, გახდება რა ქალაქის მცხოვრები, გუშინდელი კოლმეურნე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლიდან სასაქონლო სურსათის მომხმარებლად იქცევა.

მეოთხე, ჩვენ გვჭირდება მარცვლეულის მძლავრი სახელმწიფო რეზერვები, რომლებიც ყოველწლიურად უნდა შეივსოს. ჩვენს ქვეყანას არ შეიძლება არ ჰქონდეს სათანადო რეზერვები — ეს ცხადია ყველასათვის და მტკიცებას არ საჭიროებს.

მეხუთე, ჩვენ უნდა გვქონდეს მარცვლეულის საკმაო ფონდი საგარეო ვაჭრობისათვის.

მეექვსე, — და ეს მთავარი მიზეზია, რომელიც განაპირობებს მარცვლეულის დამატებითი რაოდენობის ხაჭიროებას, — ჩვენ მკვეთრად უნდა გავადიდოთ ფურაჟის წარმოება მეცხოველეობის საჭიროებისათვის.

ასეთია ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს მარცვლეულზე ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილების დიდი ზრდა. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ დროთა განმავლობაში ამ ფაქტორების დიდი ნაწილის მოქმედება არათუ არ შეწყდება, არამედ კიდევაც გაძლიერდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მოვალე ვართ ენერგიის მაქსიმუმი მოვახმაროთ იმას, რომ ულითიწლობით გავადიდოთ მარცვლეულის წარმოება მისი სიუხვის შექმნამდე.

1954 წელს ჩვენმა ქვეყანამ უფრო მეტი მარცვლეული მიიღო, ვიდრე წინა წელს. 1955 წელს, ახალი მიწების ათვისებითა და ძველსახნავ მიწებზე მოსავლიანობის გადიდებით, ჩვენ კიდევ უფრო მეტ მარცვლეულს მივიღებთ. ეს მარცვლეული საკმარისი იქნება მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ახლანდელი მოსავლიანობისა და ნათესი ფართობების ახლანდელი სტრუქტურის დროს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჯერ კიდევ მთლიანად ვერ დააკმაყოფილებენ მეცხოველეობის საჭიროებას ფურაჟზე. ჩვენში კი წინათ სწორედ მარცვლეულზე მეცხოველეობის საჭიროებას თითქმის არ ითვალისწინებდნენ. თავისთავად იგულისხმება, რომ ძირეულად უნდა შევცვალოთ ჩვენი დამოკიდებულება ფურაჟით მეცხოველეობის უზრუნველყოფისადმი. მაგრამ ამისათვის საჭიროა მოკლე ვადებში მნიშვნელოვნად გავადიდოთ მარცვლეულის წარმოება.

როგორც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მუშაკთა ჯგუფის მიერ შესრულებული გაანგარიშება გვიჩვენებს, საჭიროა ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის საერთო მოსავალი გვქონდეს 10 მილიარდი ფუთი. ეს შესაძლებლობას მოგვცემს მთლიანად დავაკმაყოფილოთ არა მარტო მოსახლეობის მოთხოვნილება პურზე, არამედ აგრეთვე მთლიანად უზრუნველვყოთ მეცხოველეობის საჭიროება ფურაჟზე და გვქონდეს საჭირო რეზერვები.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ უახლოეს წლებში შევასრულოთ ეს ამოცანა? დიახ, შეგვიძლია. ამისათვის ჩვენ გვაქვს ყველა საჭირო პირობა და უდიდესი რეზერვები, რომლებსაც შეიცავს ჩვენი სოციალისტური მეურნეობა. ჩვენ ხომ გვაქვს გარკვეული წარმატებები ყველაზე ძვირფასი მარცვლეული კულტურის — ხორბლის წარმოებაში. ხორბლის ფართობი 1940 წელთან შედარებით 40 მილიონ 300 ათასიდან გაიზარდა 49 მილიონ 300 ათას ჰექტარამდე 1954 წელს, ხოლო ხორბლის ხვედრითი წონა მარცვლეულის ნათესებში ამ ხნის განმავლობაში 36,4 პროცენტიდან გადიდდა 44 პროცენტამდე. ხორბლის წარმოების მოცულობით ჩვენს ქვეყანას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. ჩვენ გავუსწარით ამერიკის შეერთებულ შტატებს როგორც ხორბლის საერთო მოსავლის, ისე ერთ სულ მოსახლეზე მისი წარმოების მხრივ. მოსავლიანობის გადიდებასთან და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებასთან დაკავშირებით ჩვენ მომავალშიც გავადიდებთ ხორბლის მოსავალს. მაგრამ საფურაჟე კულტურების მხრივ საქმის ვითარება ჩვენში გაცილებით უფრო ცუდია.

რა წყაროებით შეგვიძლია უახლოეს 5-6 წელიწადში მივაღწიოთ მარცვლეულის წარმოების საჭირო დონეს ჩვენს ქვეყანაში?

ძველსახნავ მიწებზე მარცვლეულის მოსავლის გადიდებით (დანაკარგების შემცირება მოსავლის აღების დროს, მოსავლიანობის გადიდება);

ყამირ და ნასვენ მიწებზე მარცვლეული კულტურების ნათესების შემდგომი გაფართოებით;

სიმინდის ნათესების მნიშვნელოვანი გაფართოებით.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ თვითეული ეს წყარო.

მარცვლეულის მოსავლის გადიდება ძველსახნავ მიწებზე. ჩვენ შეგვიძლია მნიშვნელოვნად გავადიდოთ და კიდევაც უნდა გავადიდოთ მარცვლეულის მოსავალი ძველსახნავ მიწებზე. ამისათვის უწინარეს ყოვლისა უნდა შევამციროთ მარცვლეულის შეუწყნარებლად დიდი დანაკარგი მოსავლის აღების დროს. სრულიად შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როცა მოსავლის გაჭიანურებული აღების შედეგად ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში იკარგება მოყვანილი მოსავლის დაახლოებით მეოთხედი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მეტიც. ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რამდენ პურს იღებენ იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც მოსავლის აღება ერთ თვეს, ხოლო ზოგჯერ 45 დღეს გრძელდება.

ამ მხრივ დამახასიათებელია დნეპროპეტროვსკის ოლქის სინელნიკოვოს და პავლოგრადის საჯიშე ნაკვეთების მონაცემები მარცვლეულის დანაკარგის შესახებ მოსავლის აღების ვადების მიხედვით:

(ცენტნერობით ჰექტარზე)

	სინელნიკოვოს საჯიშე ნაკვეთი		პავლოგრადის საჯიშე ნაკვეთი	
	მოსავლის აღება	დანაკარგი	მოსავლის აღება	დანაკარგი
მოსავლის დროზე აღება სრული სიმწიფის დადგომის მომენტში	29,5	—	32,3	—
მოსავლის აღება სრული სიმწიფის დადგომიდან:				
5 დღის შემდეგ	28,4	1,1	30,8	1,5
10 დღის შემდეგ	23,4	6,1	24,6	7,7
15 დღის შემდეგ	21,6	7,9	22,8	9,5
20 დღის შემდეგ	18,5	11,0	21,7	10,6

ამრიგად, გამოდის, რომ, ვეწევით რა დიდ ხარჯებს მიწის ხვნასა და თესვაზე, ხშირად კარგი მოსავალი მოგვყავს, მაგრამ ვაჭიანურებთ მოსავლის აღებას და ვურიგდებით დიდ დანაკარგებს. ეს ხდება უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით არა გვაქვს მოსავლის ასაღები მანქანები. საჭიროა მნიშვნელოვნად გავადიდოთ კომბაინების წარმოება, უფრო მეტი წარმადობით გამოვიყენოთ ისინი და მივაღწიოთ იმას, რომ მოსავლის აღება თვითეულ მეურნეობაში დამთავრდეს სულ დიდი ათ სამუშაო დღეში.

მარცვლეულის საერთო მოსავლის გადიდების დიდი რეზერვია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება ყველა ფართობზე.

მოსავლიანობის გადიდება კვლავაც მთავარი ამოცანა იქნება სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში. საჭიროა გულმოდგინედ ვიბრძოლოთ მიწათმოქმედების მაღალი კულტურისათვის, საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში შეკასრულოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო, ფართოდ დავნერგოთ მოწინავე გამოცდილება და მეცნიერების მიღწევები. ამასთან დაკავშირებით ყურადღების ღირსია ამხ. მალცევის მიერ შემოღებული წესები ნიადაგის დამუშავებისა, რომლებიც უნდა შევისწავლოთ და უნარიანად გამოვიყენოთ, ამასთან გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონის თავისებურებანი.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად ყველა ფართობზე უნდა შევიტანოთ მეტი მინერალური და ადგილობრივი სასუქები. უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით ჩვენ ნაკლები მინერალური სასუქები შეგვაქვს, ვიდრე ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

მოსავლის გადიდებისა და შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც გვალვა და შავი ქარიშხალი იცის, სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს საცავი ტყის ნარგავებს. უნდა გაგრძელდეს მუშაობა საცავი ტყის გასაშენებლად.

თუ რა დიდი შესაძლებლობა არსებობს მარცვლეული კულტურების მოსავლის გასადიდებლად, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ კოლმეურნეობების ჯიშთსაცდელ ნაკვეთებში მარცვლეულის მოსავალი ჰექტარზე ერთიორად მეტია, ვიდრე კოლმეურნეობების ყველა ნათესში.

ყამირი და ნასვენი მიწების შემდგომი ათვისება. როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმმა აღნიშნა, მარცვლეულის წარმოების გადიდების ყველაზე ხელმისაწვდომი და სწრაფი წყაროა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება. შარშანდელი წლის გამოცდილებამ, რომლის განმავლობაშიც დიდი მუშაობა შესრულდა ყამირის ასათვისებლად, თვალსაჩინოდ დაადასტურა ამ აზრის სისწორე.

კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში პარტიული ორგანიზაციების დიდი მუშაობის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა თავდადებული შრომის შედეგად შარშან მნიშვნელოვნად გადიდდა პურის წარმოება და დამზადება ციმბირისა და ყაზახეთის რაიონებში. დასავლეთ ციმბირის რაიონებში მოყვანილია ერთიორად, ხოლო ყაზახეთის სს რესპუბლიკაში 35 პროცენტით მეტი პური, ვიდრე 1953 წელს. ალტაის მხარემ თითქმის ერთიოროთხად გაადიდა პურის წარმოება. სწორედ ამ რაიონებში მოსავლიანობის გადიდებისა და ყამირი მიწების ათვისების მეოხებით დაიფარა პურის მოსავლის ის დანაკლისი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ჰქონდა მთელ რიგ სამხრეთ რაიონებში გვალვის გამო

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ გადაწყვეტილება მიიღეს, რომ უკვე 1956 წელს სულ ცოტა 28-30 მილიონ ჰექტარამდე აიყვანონ მარცვლეულის ნათესები ახალ მიწებზე. ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მიმდინარე წლის გაზაფხულზე ყამირი და ნასვენი მიწების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სულ ცოტა 20 მილიონ ჰექტარს დათესავენ, აგრეთვე მთლიანად მოხნავენ მიწას 1956 წლის მოსავლისათვის. ახალი მიწების ათვისების დაწესებული დავალება ვადაზე შესრულდება.

ყამირი მიწების ათვისებისათვის მუშაობა კვლავაც გაგრძელდება. ამ მიწებზე ხორბალთან ერთად უნდა დაინერგოს საკვები სიმინდი, რაც მნიშვნელოვნად გაადიდებს მარცვლეულის მოსავალს და სილოსის დაგროვებას. იმის გამო, რომ 1960 წლისათვის ამ მიწების ნაწილი გამოყოფილი იქნება ანეულისა და სხვა კულტურებისათვის, ახლად ათვისებული მიწებიდან მარცვლეულის ნათესებისათვის გამოყენებული იქნება სულ ცოტა 28 მილიონი ჰექტარი. ჰექტარზე თუნდაც 10 ცენტნერი საშუალო მოსავლიანობის დროს ეს მოგვცემს 1 მილიარდ 700 მილიონ ფუთზე მეტ მარცვლეულს.

სიმინდის ნათესების გაფართოება. ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მარცვლეულის საერთო მოსავალი უმთავრესად სიმინდის ნათესების გაფართოებით გაადიდეს. სიმინდი იქ ყველაზე მოსავლიანი კულტურაა. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1953 წელს სიმინდით დაითესა მარცვლეულის მთელი ნათესი ფართობის 35 პროცენტი — თითქმის 30 მილიონი ჰექტარი, ესე იგი იმდენივე, რამდენიც დაითესა ხორბალი, ხოლო სიმინდის მარცვალი მოყვანილია 4,5 მილიარდი ფუთი, ანუ მარცვლეულის საერთო მოსავლის 55 პროცენტი. ამერიკის შეერთებულ შტატებში სიმინდის თითქმის მთელი მარცვალი პირუტყვის კვებას ხმარდება. ამას გარდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში 3-4 მილიონი ჰექტარი სიმინდი ითესება სასილოსედ და მწვანე საკვებად. სწორედ სიმინდით უზრუნველყვეს ამერიკელებმა მეცხოველეობის განვითარების მაღალი დონე. უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ძლიერ განავითარეს სიმინდის ჰიბრიდული თესლით თესვა, რის მეოხებით მკვეთრად გადიდდა მოსავლიანობა. მაგალითად, ომამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში სიმინდის საშუალო მოსავალი შეადგენდა დაახლოებით 15 ცენტნერს ჰექტარზე, ხოლო 1953 წლისათვის, როცა სიმინდის ნათესების 85 პროცენტი ჰიბრიდული თესლით ითესებოდა, მოსავალმა შეადგინა 25 ცენტნერი ჰექტარზე. ამავე დროს ხორბლის მოსავალმა ამერიკის შეერთებულ შტატებში შეადგინა 10,7 ცენტნერი.

საბჭოთა კავშირში 1953 წელს სიმინდის ნათესებს ეკავა სულ 3 მილიონი 500 ათასი ჰექტარი, ესე იგი მარცვლეული კულტურების საერთო ფართობის 3,3 პროცენტი, ხოლო მოყვანილია სულ 230 მილიონი ფუთი.

სიმინდის ნათესების გაფართოება ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების გადიდების უდიდესი რეზერვია. თუ 1960 წელს ჩვენ სიმინდის ნათეს ფართობებს 1953 წლის სამნახევარი მილიონი ჰექტარიდან გავადიდებთ 28 მილიონ ჰექტარამდე, ეს საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ მარცვლეულის წარმოება ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ დიდი შესაძლებლობა გვაქვს მოვიყვანოთ სიმინდი მნიშვნელოვანი ოდენობით, და უგულურება იქნებოდა არ გამოგვეყენებინა ის საგებლობა, რასაც იძლევა ამ კულტურის ნათესების გაფართოება.

სიმინდი ძვირფასია იმით, რომ მარტო ეს კულტურა ერთსა და იმავე დროს წყვეტს ორ ამოცანას — მარცვლეულის რესურსების შევსებას და სიმინდის ღეროსაგან კარგი სილოსის მიღებას. სიმინდის ყველა ნათესი, რომლის მოსავლის აღება რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სტადიაში ხდება, ცალცალკე აღების დროს იძლევა მარცვლეულს ტაროებად, აგრეთვე წვნიან საკვებსაც დაქუცმაცებული და დასილოსებული ღეროების სახით. ცალკე აღებული ტაროები უნდა დავასილოსოთ და გამოვიყენოთ მეურნეობაში მარცვლად ღორისა და სხვა ცხოველების, აგრეთვე ფრინველის გასასუქებლად; სიმინდის ღეროები უნდა დავასილოსოთ ტაროებისაგან განცალკევებით და გამოვიყენოთ როგორც წვნიანი საკვები მეწველი და სხვა სახეობის პირუტყვისათვის.

თუ სიმინდს მივიჩნევთ ისეთ კულტურად, რომელიც მარცვალს იძლევა გამხმარი სახით, ამ მხრივ ჩვენი შესაძლებლობანი ჯერ მართლაც შეზღუდულია. ხოლო თუ გამოვიყენებთ რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეს მიღწეული სიმინდის ტაროების დასილოსებისა და დაკონსერვების უკვე შემენილ გამოცდილებას, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ხელსაყრელი პირობებია ამ უხვმოსავლიანი კულტურის მოყვანის რაიონის მნიშვნელოვანი გაფართოებისათვის.

საკითხავია, რატომ უნდა ვთქვათ უარი პირუტყვის გასასუქებლად სიმინდის წარმოების გადიდების ამ შესაძლებლობებზე, რატომ უნდა ვთქვათ უარი იმ საკვებზე, რომელსაც მივიღებთ არა გამხმარი მარცვლის სახით, არამედ დაკონსერვებული მარცვლის სახით. დასილოსებული ტაროები კვების ერთეულების (ხმელი ნივთიერების) მიხედვით სიმინდის მწიფე მარცვლის თანაბარფასოვანია.

შეიძლება თუ არა რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის მარცვალი გავუთანაბროთ მწიფე მარცვალს? შეიძლება. დაუწიფებელი მარცვალი ისევე ნოყიერია, როგორც მწიფე მარცვალი. ამას არავინ არ უარყოფს. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ გაზედულად უნდა გავაფართოოთ სიმინდის ნათესები იმ რაიონებშიც, სადაც იგი მთლიანად არ მწიფდება მარცვლად, მაგრამ რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეს აღწევს.

მიუხედავად ამისა უკანასკნელ დრომდე სიმინდი ჩვენში მივიწყებული იყო, მას სათანადოდ არ აფასებდნენ, თესავდნენ ჩვენი ქვეყნის მხოლოდ სამხრეთ რაიონებში და ისიც უმნიშვნელო რაოდენობით. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სასწავლო რუკაზე, რომელიც 1952 წელს გამოიცა, სიმინდის გავრცელების საზღვარი გადიოდა ჩერნოვიციდან ვინიცაზე, კიევის ბეჭრად უფრო სამხრეთით, პოლტავაზე, ვოროშილოვგრადსა და მახაჩკალაზე. ამრიგად, ჩვენი ქვეყნის ევროპული ნაწილის უზარმაზარი ტერიტორია, მათ შორის უკრაინის ბევრი რაიონი, ბელორუსია, ბალტიისპირეთი, რუსეთის სფსრ ცენტრალური ოლქები, ვოლგისპირეთი, ყაზახეთი და შუა აზიის ყველა რესპუბლიკა, რომ აღარაფერი ვთქვათ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთზე, — ყველა ეს ვრცელი რაიონი სიმინდის მოყვანისათვის უვარგისად ითვლებოდა.

იქნებ რუკაზე აღნიშნული საზღვრის ჩრდილოეთით სიმინდი მართლაც არ მოდის? ეს სწორი არ არის!

უკანასკნელ წლებში და განსაკუთრებით შარშან ჩვენ ვცადეთ სიმინდის დათესვა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონში, და ყველგან, ჩრდილოეთ რაიონებშიც კი, სადაც მას სათანადოდ უვლიდნენ, კარგი მოსავალი მიიღეს.

აიღეთ, მაგალითისთვის, ჩუვაშეთის ასსრ სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, სადაც თავმჯდომარედ მუშაობს საკოლმეურნეო წარმოების ერთ-ერთი შესანიშნავი ადამიანი ამხ. კოროტკოვი. გასული წლის დამდეგს ამხ. კოროტკოვი ჩემთან მოვიდა. მასთან საუბრის დროს მე დავინტერესდი ჩუვაშეთის ჰავისა და ნიადაგის პირობებით და ფურაჟად დაეთესა სიმინდი. ამხ. კოროტკოვმა მონდომებით მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. კოლმეურნეობას გაეგზავნა სიმინდის თესლი, და მან პირველად დათესა ეს კულტურა, ამასთან დათესა კვადრატულ-ბუდობრივი წესით. ეი რას წერენ ამ არტელის კოლმეურნეები პარტიის ცენტრალური კომატეტისათვის გამოგზავნილ წერილში:

„ჩვენ საზოგადოებრივი პირუტყვი საჭირო რაოდენობით უზრუნველვყავით სიმანდის ნამდვილი სილოსით, რომელიც ჩავდეთ ბეტონის სილოსსაცავში. [illegible] მინდი მთელ 35 ჰექტარ ფ[illegible] ტუესავით, სამნახევარ მეტრამდე სიმაღლისა გაიზარდა. ჰექტარზე მივიღეთ 800 ცენტნერი სასილოსე მასა. ჩავდეთ 1.500 ტონა სილოსი ტაროიანად. გარდა ამისა, დავასილოსეთ 80 ტონა სუფთა ტარო 500 გასასუქებელი ღორის საკვებად.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ზოგიერთი მოლაყბე ამტკიცებდა, სიმინდი ჩვენში სამარცვლედ არ დამწიფდება, ყოველივე ეს ფუჭი ლაპარაკიაო. გიგზავნით სიმინდის ტაროებს რომლებიც 6 ჰექტარი ჩვეულებრივი ნათესიდან დავტოვეთ სათესლედ. იქ მოვიყვანეთ 1.000 ცენტნერი ასეთი ტარო, ესე იგი ჰექტარზე 166 ცენტნერი“.

სიმინდის კარგი მოსავალი მოვიდა ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონში. 1954 წელს ტულის ოლქის ეფრემოვის სახელმწიფო საჯიშე ნაკვეთზე „მოსკოვური 5“ ახალი ჯიშის სიმინდმა მოგვცა ჰექტარზე 50 ცენტნერი მწიფე ტაროს მოსავალი და „მოსკოვური 3“ ჯიშის სიმინდმა — 38 ცენტნერი. არაშავნიადაგიანი ზოლის მარცვლეული მეურნეობის ინსტიტუტში (სადგური ნემჩინოვკა, მოსკოვის ოლქი) ჰექტარ საცდელ ნათესზე აღებულია 40 ცენტნერი სიმინდის ხმელი მარცვალი (უნაქუჩოდ), ხოლო საკუთარი სელექციის ცალკეულმა საუკეთესო სახეობებმა ჰექტარზე მოგვცა 60 ცენტნერი მარცვალი (უნაქუჩოდ). ვორონეჟის ოლქის სემილუკის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში 45 ჰექტარი საგვიანო მაღალეროიანი ჯიშის სიმინდის ნათესიდან ჰექტარზე მიიღეს 74,3 ცენტნერი მარცვალი ტაროდ. ბრიანსკის ოლქის სტაროდუბის სახელმწიფო საჯიშე ნაკვეთის თვითეულ ჰექტარზე მოვიდა 42,5 ცენტნერი სიმინდი (უნაქუჩოდ). თათრეთის ასსრ სახელმწიფო საჯიშე ნაკვეთების თვითეულ ჰექტარზე მოვიდა 30 ცენტნერი სიმინდი. ბელორუსიის სსრ გოროდოკის სახელმწიფო საჯიშე ნაკვეთის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 45 ცენტნერი ხმელი მარცვალი.

ალტაის მხარის სლავგოროდის რაიონის კოლმეურნეობებში 135 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიდა 40-60 ცენტნერი სიმინდი ტაროდ. სლავგოროდის სასელექციო სადგურზე მარცვლეულის მოსავალმა (14 პროცენტი ტენიანობისას) ჰექტარზე 50-57 ცენტნერი შეადგინა.

ცენტრალურ და ჩრდილოეთ რაიონებში სიმინდის მასობრივი გავრცელების პირველ წელს არა მარტო ცალკეულმა კოლმეურნეობებმა, არამედ მთელმა რაიონებმა და ოლქებმაც კი სიმინდის უხვი მოსავალი მოიყვანეს. მაგალითად, ბელორუსიის სსრ გროდნოს ოლქში 295 კოლმეურნეობამ ჰექტარზე მოიყვანა 300-დან 600-მდე ცენტნერი და მეტი სიმინდის მწვანე მასა ტაროიანად. არხანგელსკის ოლქში 10 კოლმეურნეობამ ჰექტარზე მოიყვანა 520-დან 900-მდე ცენტნერი მწვანე მასა.

მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს მუშაობა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში სიმინდის გასავრცელებლად. ზოგიერთი ეჭვს გამოთქვამს, შეუძლია თუ არა სიმინდს მიაღწიოს რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეს ჩრდილოეთ რაიონებში. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ყველგან, სადაც ხორბალი მოჰყავთ, სიმინდს შეუძლია მიაღწიოს რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეს. ცალკეულ წლებში სიმინდი კიდევაც რომ ვერ დამწიფდეს, კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა დიდი რაოდენობით მიიღებს სასილოსე მწვანე მასას. ამრიგად, მეურნეობა ამ შემთხვევაშიც არ ნახავს ზარალს.

მინდა გავაკეთო ასეთი შენიშვნა. უფრო მეტი სრულფასოვანი ტაროს მისაღებად ბუდეში არ უნდა დავტოვოთ სიმინდის ორ ღეროზე მეტი, რადგან ტარო კარგად არ განვითარდება, დაიკარგება ყველაზე ძვირფასი — მარცვალი. ბუდეში რაც უფრო ნაკლები ღეროა, მოსავალი ყოველთვის უკეთესი იქნება. ეს დაამტკიცა სიმინდის მოყვანის ისეთმა ოსტატმა, როგორიც არის მარკ ოზიორნი. სიმინდის გამოხშირვა საჭირო არ არის იმ შემთხვევაში, როცა იგი პირუტყვის მწვანე საკვებად ითესება, როცა მას ცელავენ ჯერ კიდევ ყვავილობამდე. ამ შემთხვევაში სიმინდის ნათესი შეიძლება უფრო ხშირი იყოს და საჭირო არ არის ნათესების გამოხშირვა, მაგრამ თესვა აუცილებელია კვადრატულ-ბუდობრივი წესით, რომ დამუშავება ორი მიმართულებით მიმდინარეობდეს.

სამხრეთ რაიონებში, ისეთებში, როგორიც არის უკრაინა, მოლდავეთი, ჩრდილოეთი კავკასია და სხვ., სადაც სიმინდი სამარცვლედ ითესება და სავსებით მწიფდება, აგრეთვე მიზანშეწონილია, რომ სიმინდის ნაწილს იღებდნენ რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სტადიაში. ეს ამ რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საშუალებას მისცემს საკმაო რაოდენობით მიიღონ კონცენტრირებული საკვები დასილოსებული ტაროს სახით, აგრეთვე სასილოსედ ვარგისი ღერო. ამრიგად, სამხრეთი რაიონები მეწველ პირუტყვს უზრუნველყოფენ წვნიანი საკვებით, რაც მნიშვნელოვნად გაადიდებს წველადობას.

ცალკეულ რაიონებში, სადაც ბევრი სითბო და ტენია, მაგალითად, საქართველოსა და კრასნოდარის მხარის შავი ზღვის სანაპიროს ზონაში, კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს შეუძლიათ წელიწადში აიღონ რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სიმინდის ორი მოსავალი. ეს გაადიდებს პირუტყვის საკვების რესურსებს.

აგრეთვე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ გვალვიან რაიონებში სიმინდი, როგორც სათოხნი კულტურა, უფრო გვალვაგამძლე და უხვმოსავლიანია. მეორე მხრივ, რაიონებში, სადაც მოსავლის აღების პერიოდში ბევრი ნალექია, რაც აძნელებს კარტოფილის, მარცვლეულისა და სხვა კულტურების მოსავლის აღებას, სიმინდის სასილოსედ აღება ყოველგვარ ამინდში შეიძლება.

ჩვენ მოვალენი ვართ მიმდინარე წელს, აგრეთვე შემდგომ წლებში სიმინდის მოყვანის ახალი რაიონები უზრუნველვყოთ სამხრეთში მოყვანილი თესლით, ამასთან საჭიროა დიდი მუშაობა ისეთი ჯიშების შერჩევისათვის, რომლებიც ყველაზე გამოსადეგია ახალ რაიონებში მოსაყვანად, აგრეთვე მწვანე მასისა და რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის მარცვლის უხვი მოსავლის მომცემი ჯიშების გამოსაყვანად, ჯიშებისა, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ სულ უფრო გავავრცელოთ სიმინდი ჩრდილოეთში. ჩვენში ჯეროვნად არ აფასებენ იმას, რომ შესაძლებელია მოსავლიანობის გადიდება ჰიბრიდული თესლით თესვის განვითარების გზით. ჰიბრიდული თესლით თესვა მოსავლიანობის გადიდების მძლავრი საშუალებაა. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ ჯეროვნად უნდა მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს, ჰიბრიდული თესლის გამრავლებისათვის მუშაობაში უნდა ჩაბან საცდელი ს

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გაგრძელება

ნათესებით. აგრეთვე მიზანშეწონილი იქნება, რომ დაახლოებით 4 მილიონი ჰექტარი სხვადასხვა საკვები კულტურა (ბალახები, ძირხვენები) სიმინდით შევცვალოთ. გარდა ამისა, სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონში შეიძლება სიმინდის დასათესავად მოვხსნათ დაახლოებით 3 მილიონი ჰექტარი ნაკლებპროდუქტიული მდელოები, საძოვრები და გაშეხილი მიწები. ყველა ამ ღონისძიების შედეგად შეგვიძლია დამატებით მივიღოთ მრავალი ასეული მილიონი ფუთი სიმინდი.

ახლა ჩვენ გაბედულად შეგვიძლია მნიშვნელოვნად გავადიდოთ სიმინდის ნათესები, რადგან მექანიზაციის ახალნდელი დონის დროს იგი შრომატევადი კულტურა აღარ არის. ახლა შესაძლებლობა გვაქვს სიმინდი ვთესოთ კვადრატულ-ბუდობრივი წესით, ვაწარმოოთ მექანიზებული დამუშავება ორი მიმართულებით და კომბაინებით ავიღოთ მოსავალი როგორც სამარცვლედ, ისე სასილოსედ.

ამხანაგებო! თუ მარცვლეულის მთლიანი მოსავალი ჩვენს ქვეყანაში ათ მილიარდ ფუთს მიაღწევს, შეგვიძლია სავსებით დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის ყველა მოთხოვნილება პურზე, შევქმნათ უფრო მძლავრი რეზერვები, ამასთან მეცხოველეობისათვის გამოვყოთ ოთხ მილიარდ ფუთზე მეტი მარცვლეული და, გარდა ამისა, მნიშვნელოვანი რაოდენობით — ქატო, კოპტონი და სხვადასხვა კომბინირებული საკვები. მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებასთან დაკავშირებით ჩვენში გადიდდება აგრეთვე მეცხოველეობისათვის უმნიშვნელოვანესი სხვა კულტურების — კარტოფილის, საკვები სტაფილოს, საკვები ჭარხლის, შაქრის ჭარხლის საერთო მოსავალი, გაიზრდება მდელოების პროდუქტიულობაც. ამრიგად, მეცხოველეობა მიიღებს საკვების მყარ ბაზას თავისი განვითარებისათვის, იგი მაღალპროდუქტიული და მაღალშემოსავლიანი გახდება.

ამისათვის, რომ მარცვლეულის წარმოების გადიდების ჩვენი შესაძლებლობანი სინამდვილე გახდეს, საჭიროა ბევრი და დაძაბული მუშაობა. უწინარეს ყოვლისა უნდა გავადიდოთ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება, მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მათი გამოყენება.

რათა შევამციროთ მარცვლეულის დანაკარგი და გავადიდოთ მოსავალი, საჭიროა მკვეთრად შევამოკლოთ მოსავლის აღების ვადები, ამისათვის კი საჭიროა მნიშვნელოვნად გავადიდოთ კომბაინების პარკი, აგრეთვე გავაჩაღოთ ვინდროუერების წარმოება, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ პურის მოსავალი ავიღოთ ცვილსებრი სიმწიფის პერიოდში.

ჩვენს სოფლის მეურნეობას ესაჭიროება დიდძალი ახალი ტრაქტორი და კომბაინი. მე ახლა არ ვიტყვი, რამდენი ასეთი მანქანა უნდა გვქონდეს 1960 წელს. საჭიროა გამოვიანგარიშოთ რეალური შესაძლებლობანი როგორც არსებული ქარხნების საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების, ისე ახალი ქარხნების შენებლობის მხრივ. მაგრამ ცხადია ერთი რამ, — ის, რომ უფრო მეტი უნდა ვიზრუნოთ სოფლის მეურნეობის შემდგომი ტექნიკური აღჭურვისათვის.

საჭიროა გავაძლიეროთ სტიმულები კოლმეურნეებისათვის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაებისათვის, რომლებიც მოსავლის აღების პირველ დღეებში მუშაობენ. აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის მოუწესრიგებელი. ანაზღაურების არსებული სისტემის დროს კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი იმით, რომ მოსავალი შემჭიდროებულ ვადებში აიღონ. მიზანშეწონილი იქნებოდა მოსავლის აღების პირველ დღეებში შემოგვეღო გადიდებული ანაზღაურება. უნდა დავავალოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შეიმუშაონ საჭირო წინადადებანი ამ საკითხზე.

მარცვლეულის წარმოებას მკვეთრად გადიდების ამოცანას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმების განხორციელებისათვის. მარცვლეულის წარმოების გაფართოებისათვის ბრძოლა არის ბრძოლა ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სახავს რა მარცვლეულის საერთო მოსავლის სერიოზული გადიდების ამოცანას, პარტია ეყრდნობა მძიმე ინდუსტრიის განვითარებაში მიღწეულ წარმატებებს, ჩვენი მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების უპირატესობებს, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა უმდიდრეს გამოცდილებას, რომლებმაც მეცნიერებასთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიმუშავეს უხვი მოსავლის მიღების გზები.

შეიძლება არ დავეჭვდეთ იმაში, რომ, თუ ჩვენ კოლმეურნე გლეხობის, მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის ძალებს დავრაზმავთ მარცვლეული მეურნეობის აღმავლობისათვის საბრძოლველად, უახლოეს ხუთ-ექვს წელიწადში 10 მილიარდი ფუთი მარცვლის მიღების საყოველთაო-სახალხო ამოცანა წარმატებით იქნება გადაჭრილი!

ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების ძირითადი ამოცანები

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა ცოტა როდი იმუშავეს მეცხოველეობის აღმავლობის დარგში პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებათა შესასრულებლად. როგორც უკვე აღვნიშნე მოხსენების დასაწყისში, ეს მუშაობა მიმდინარეობდა რთულ პირობებში. გვალვამ, რომელიც ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებს მოედო, აგრეთვე მკაცრმა ზამთარმა სამომთაბარო საძოვრებზე დიდი სიძნელეები შექმნა მეცხოველეობისათვის და გარკვეული ზიანი მიაყენა მას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1953 წლის 1 ოქტომბრიდან 1954 წლის 1 ოქტომბრამდე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა ჩვენს ქვეყანაში გაიზარდა 1,9 მილიონი სულით, აქედან ძროხისა 1,5 მილიონით, ღორის სულადობა გადიდდა 3,4 მილიონით, ცხვრისა — 2,6 მილიონი სულით. რამდენადმე გადიდდა პირუტყვის პროდუქტიულობა.

თუ ანალიზს გავუკეთებთ მეცხოველეობის მდგომარეობას, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საზოგადოებრივი მეცხოველეობის მნიშვნელობა და როლი კვების პროდუქტებით მშრომელთა, ხოლო ნედლეულით მრეწველობის უზრუნველყოფის საქმეში. საზოგადოებრივი მეცხოველეობა ის ბაზაა, რომელზე დაყრდნობითაც შეგვიძლია გადავწყვიტოთ მეცხოველეობის პროდუქტებზე ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების ამოცანა. ამიტომ პარტია პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის აღმავლობის საქმეს.

ომისშემდგომ წლებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში მიღწეულია ზოგიერთი წარმატება. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების მეცხოველეობის პროდუქტების ხვედრითმა წონამ საერთო დამზადებაში შარშან შეადგინა ხორცისა — დაახლოებით 78 პროცენტი, რძისა — 77 პროცენტი, კვერცხისა — 54 პროცენტი და მატყლისა — 92 პროცენტი.

ეს მონაცემები მოწმობენ, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მაღალსაქონლიური მეურნეობებია და ძირითად, წამყვან როლს ასრულებენ მეცხოველეობის პროდუქტებით ჩვენი ქვეყნის მომარაგებაში. ეს ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების დიდი გამარჯვებაა. მაგრამ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დღემდე კიდევ საკმარისად არ იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისას ჩვენ არ უნდა შევამციროთ მეცხოველეობის იმ ნაწილის მნიშვნელობა, რომელიც კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირად საკუთრებაშია და წარმოებს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ფარგლებში, პირადი მოხმარების მეურნეობის ფარგლებში. პარტია და მთავრობა ახალისებდნენ და მომავალშიც წაახალისებენ კოლმეურნეებს, მუშებსა და მოსამსახურეებს შეიძინონ პირუტყვი, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ხელს უწყობს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მაგრამ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობას, რომელმაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სახალხო მოხმარების საგნების სიუხვის მიღწევაში.

მე უკვე მოვიყვანე ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ჩვენში გაიზარდა პირუტყვის სულადობა, ამასთან დაკავშირებით გადიდდა ხორცის, რძისა და ერბო-კარაქის, კვერცხის დამზადება. მიუხედავად ამისა, მეცხოველეობის პროდუქტები ჩვენ გვაკლია. რით უნდა აიხსნას ეს? უწინარეს ყოვლისა მოხმარების უდიდესი ზრდით. ფასების მრავალგზის შემცირების შემდეგ მოთხოვნილება მეცხოველეობის პროდუქტებზე ბევრად გაიზარდა. ხორცის მიყიდვა მოსახლეობისათვის 1954 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდა 2,8-ჯერ, ერბო-კარაქისა — 2,6-ჯერ, კვერცხისა — 1,4-ჯერ და შალის ქსოვილებისა — თითქმის ერთი-სამად. მოთხოვნილება მეცხოველეობის პროდუქტებზე მომავალშიც გადიდდება. საჭიროა მავიღოთ ყველა ღონისძიება მისი დაკმაყოფილებისათვის, რისთვისაც უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას არა აქვთ იმაზე უფრო დიდი საზრუნავი, ვიდრე ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის.

მეცხოველეობის პროდუქტებზე გაზრდილ მოთხოვნილებათა თვალსაზრისით მათი წარმოების დონე აშკარად არასაკმარისი აღმოჩნდა. აქედან გამომდინარეობს ამოცანა — მნიშვნელოვნად გავადიდოთ ხორცის, რძის, ერბო-კარაქის, კვერცხის, მატყლისა და სხვა პროდუქტების წარმოება.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობათა განსაზღვრისას ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ მათთვის გამოყოფილი მიწის რაოდენობითა და ხარისხით და მხედველობაში ვიქონიოთ, რომ მეცხოველეობის ზრდა პირდაპირ დამოკიდებულია მიწის რაოდენობასა და მის სწორ გამოყენებაზე. ამიტომ ხორცისა და რძის წარმოების გამოანგარიშება უნდა ხდებოდეს 100 ჰექტარი სახნავის, მდელოებისა და საძოვრების მიხედვით, ღორის ხორცის წარმოება — 100 ჰექტარი სახნავის მიხედვით, ხოლო მეფრინველეობის პროდუქციისა — 100 ჰექტარი მარცვლეული კულტურების ნათესების მიხედვით.

ეს პრინციპი საფუძვლად უნდა დაედოს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების დაგეგმვას. იმისათვის, რომ უზრუნველყოთ მთელი მოსახლეობის კვება მეცნიერულად დასაბუთებული ნორმებით, საჭიროა საბჭოთა კავშირში საშუალოდ 100 ჰექტარ სახნავზე, მდელოებსა და საძოვრებზე ვაწარმოოთ 27 ცენტნერი ხორცი, 260 ცენტნერი რძე, ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე — სულ ცოტა 30 ცენტნერი ღორის ხორცი და ყოველ 100 ჰექტარ მარცვლეული კულტურის ნათესზე — სულ ცოტა 74 ათასი კვერცხი. ამასთან უნდა ითქვას, რომ ამ გაანგარიშებაში საფუძვლად მიღებული მეცნიერულად დასაბუთებული ნორმები არ შეიძლება ზუსტად და უცვლელად ჩაითვალოს, ცხოვრება ალბათ კორექტივებსა და დაზუსტებას შეიტანს მათში.

ამჟამად ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან სერიოზულად ჩამოვრჩებით იმ დონეს, რაც საჭიროა ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ეს ჩამორჩენა შეიძლება მოკლე ვადაში დავძლიოთ.

ამისათვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა სერიოზულად გავადიდოთ პირუტყვის პროდუქტიულობა და მისი სულადობა.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად წარმოდგენილი დადგენილების პროექტში უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანად დასახულია ის, რომ 1960 წელს 1954 წელთან შედარებით გავადიდოთ ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება:

ხორცისა და ქონისა (ყველა სახეობის) — ერთიორად,
რძისა — ერთიორად,
კვერცხისა — 2,2-ჯერ,
მატყლისა (ყველა სახეობის) — 1,8-ჯერ.

მეცხოველეობის დასახული მკვეთრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად მეურნეობის ამ დარგს უნდა მივაპყროთ მთელი პარტიის, მთელი ჩვენი ქვეყნის ყურადღება.

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ დღემდე ვერ შეიგნო ჩვენი მეცხოველეობის ჩამორჩენის მთელი სიღრმე და დამაკმაყოფილებლად ვერ ახორციელებს ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. თუ არა ამით, მაშ რით უნდა აიხსნას ის, რომ ცენტრალური კომიტეტის მხრივ სერიოზული გაფრთხილების მიუხედავად, მთელ რიგ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში შარშან პირუტყვის რაოდენობა და მისი პროდუქტიულობა არათუ არ გადიდებულა, არამედ კიდევაც შემცირდა. სწორედ ასე მოხდა, მაგალითად, ასტრახანის, ველიკიე ლუკის, ვოლოგდის, კალინინის, კოსტრომის, ნოვგოროდის, იაროსლავლის და მთელი რიგი სხვა ოლქების კოლმეურნეობებში, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკასა და საქართველოს სს რესპუბლიკაში, სადაც პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ცუდად მუშაობდნენ მეცხოველეობის საკითხებზე, სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამ დიდმნიშვნელოვან დარგს. ზოგიერთი ოლქიდან მოდის სიგნალები, რომ 1954 წლის ოქტომბერ-დეკემბერში დაუშვეს პირუტყვის დიდი დანაკლისი და მისი პროდუქტიულობის შემცირება.

მაგალითად, კრასნოდარის მხარეში ხელსაყრელი პირობებია მიწველი პირუტყვისა და ღორის მოსაშენებლად. მიუხედავად ამისა, ძროხების პროდუქტიულობა კრასნოდარის მხარეში განსაკუთრებით დაბალია და შარშან 1.290 კილოგრამი რძე შეადგინა ნაცვლად 1940 წლის 1.530 კილოგრამისა და 1953 წლის 1.442 კილოგრამისა. რძის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა 1954 წელს მხოლოდ 74 პროცენტით შესრულდა.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზია დიდი ნაკლოვანებანი სულადობის დაგეგმვაში. სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ხელმძღვანელნი დაგეგმვის პრაქტიკაში ემყარებოდნენ არასწორ წანამძღვარს, თითქოს მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრა შეიძლებოდეს მხოლოდ პირუტყვის რაოდენობის გადიდებით.

ამას არ შეეძლო არ გამოეწვია და მართლაც გამოიწვია ის, რომ ზოგიერთი რაიონი, ასრულებდა რა სულადობის ზრდის დავალებას, წლითიწლობით ამცირებდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას. კემეროვოს ოლქში ღორის სულადობა 1940-დან 1953 წლამდე გადიდდა 68 ათასიდან 129 ათასამდე, ე. ი. თითქმის ერთიორად. ღორის ხორცის წარმოება კი 1940 წლის 1.900 ტონიდან 1953 წელს 1.550 ტონამდე შემცირდა. კოსტრომის ოლქში ძროხის სულადობა 1949 წელთან შედარებით 20 პროცენტით გადიდდა, ხოლო რძის წარმოება 10 პროცენტით შემცირდა. ასეთი მაგალითი შეიძლება ბევრი მოვიყვანოთ.

პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი, როგორც ცნობილია, სპეციალურად არ მუშაობდა სოფლის მეურნეობის საკითხებზე, მაგრამ იმასაც ესმოდა, რომ ძროხა რძეს უნდა იძლეოდეს. მაიაკოვსკი წერდა:

Если тебе
корова имя,
у тебя
должны быть
молоко
и вымя.
А если ты
без молока
и без вымени,
то черта ль в твоём
в коровьем имени!

ის, რაც ნათელი იყო მაიაკოვსკისათვის, თურმე ნათელი არ არის სოფლის მეურნეობის ბევრი მუშაკისათვის.

მეცხოველეობის მეურნეობა ზოოლოგიური ხაღი როდია, რომლის კარგი დირექტორი იძენს ყველა სახეობის ცხოველს. ამა თუ იმ სახეობის ცხოველები საჭიროა არა თავისთავად, არამედ მეცხოველეობის პროდუქტების მისაღებად. გეგმაში მთავარ მიზნად უნდა დავისახოთ მეცხოველეობის პროდუქტების საჭირო რაოდენობით მიღება სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ვადებში. ამასთან სახელმწიფოსათვის, ხალხისათვის ხელსაყრელია რძის, ხორცის, ერბო-კარაქის დავალებით გათვალისწინებული რაოდენობის მიღება რაც შეიძლება ნაკლები პირუტყვისაგან. მაგალითად, ჩვენ ვგეგმავთ კოლმეურნეობებში ვაწარმოოთ 2,4 მილიონი ტონა ღორის ხორცი. იმისათვის, რომ მივიღოთ ღორის ხორცი ამ რაოდენობითა და საჭირო ასორტიმენტით, ჩვენ 90 კილოგრამი საშუალო საკლავი წონის ერთ ღორზე უნდა ვაწარმოოთ სულ ცოტა 30 პროცენტი ბეკონი, სულ ცოტა 100 კილოგრამი საკლავი წონის ერთ ღორზე დაახლოებით 35 პროცენტი სალორე და ასაქნილი ხორცი და სულ ცოტა 150 კილოგრამი საკლავი წონის ერთ ღორზე 35 პროცენტი საქონე და ნახევრადსაქონე ხორცი. ღორის ხორცის წარმოების ასეთი სტრუქტურისა და აღნიშნული საკლავი წონის დროს საჭირო იქნება გავასუქოთ 22 მილიონი ღორი და დავხარჯოთ ამაზე 21 მილიონი ტონა სხვადასხვა საკვები (საკვებ ერთეულებზე გადაყვანით).

რას ამბობენ კოლმეურნეობები ამჟამად? საბეკონე ღორებს 3 პროცენტს ნაცვლად 30 პროცენტისა, საქონეს 6 პროცენტს ნაცვლად 35 პროცენტისა, სახორცეს — 69 პროცენტს ნაცვლად 35 პროცენტისა. გარდა ამისა, ამბობენ 22 პროცენტ არაკონდიციურ ღორებს, რომელთაგან თვითეულის ცოცხალი წონა 30 კილოგრამია. განა ეს ღორია? ეს ღორი კი არა, ღორობაა! თუ ახლანდელ მდგომარეობას დავტოვებთ, კოლმეურნეობებში 2,4 მილიონი ტონა ღორის ხორცის მისაღებად საჭირო იქნება 42 მილიონი ღორის ჩაბარება და ამაზე 26 მილიონი ტონა საკვები ერთეულის დახარჯვა. საკითხავია, რა უფრო ხელსაყრელია: შევინახოთ 20 მილიონი ზედმეტი ღორი თუ გავაუმჯობესოთ კვება და იმდენივე ღორის ხორცი მივიღოთ ნაკლები რაოდენობის კარგად გასუქებული ცხოველებისაგან? უდავოა, რომ ხელსაყრელია მეორე გზა.

შეიძლება ბევრი ასეთი მაგალითი მოვიყვანოთ რძის, მატყლისა და სხვა პროდუქტების შესახებ. აქედან გამომდინარეობს, რომ მეცხოველეობაში მთავარია ხარისხი, მისი პროდუქტიულობა. ვინც 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე ამ ზონისათვის დაგეგმილ მეტ პროდუქტებს მოგვცემს, ის უკეთ მუშაობს, ის წახალისების, საყოველთაო-სახალხო აღიარებისა და პატივისცემის ღირსია.

როგორ უნდა გაეწიოს ამ შემთხვევაში კონტროლი მეცხოველეობის განვითარების გეგმის შესრულებას? სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო მეცხოველეობის პროდუქციის გამოსავლიანობის იმ მინიმუმით უნდა ხელმძღვანელობდნენ, რომელსაც სახელმწიფო აწესებს ჩვენი ქვეყნის ცალკეული ზონების თავისებურებათა გათვალისწინებით. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, თუ როგორ იქნება უზრუნველყოფილი პროდუქციის ამ მინიმუმის გამოსავალი: რძისა — ძროხის სულადობით, მოცემულ ზონაში წველადობის მიხედვით, ხორცისა — გასუქებული ღორის, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრისა და ფრინველის სულადობის რაოდენობით და მატყლისა — ცხვრის სულადობით და ნაპარსით. მაგრამ ეს სწორედ მინიმუმია, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა უზრუნველყოთ ყველა სახეობის პროდუქტებით, ხოლო უკვე ცალკეულმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ უნდა გამოიყენოს თავისი შესაძლებლობანი და მიიღოს პროდუქციის მაქსიმუმი. ამისათვის საჭიროა ინიციატივა ადგილობრივ მუშაკებს მივანდოთ.

პლენუმის მონაწილეებმა იციან, რომ მიმდინარე წლიდან ჩვენ უნდა შემოვიღოთ სათესი ფართობების და მეცხოველეობის განვითარების დაგეგმვის ახალი წესი. ეს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის აღმავლობის საქმეში.

დაგეგმვის ძველი წესი, როცა ზევიდან, ნიადაგისა და ჰავის პირობების გაუთვალისწინებლად, თვითეულ რაიონს აძლევდნენ თესვის გეგმას კულტურების მიხედვით და მეცხოველეობის განვითარების გეგმას პირუტყვის სახეობათა მიხედვით, ხელს არ უწყობდა მტს-ების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა და კოლმეურნეთა მთელი მასის ინიციატივისა და შემოქმედების გაშლას. დაგეგმვის ასეთი წესი იწვევდა ზევიდან მიღებული დირექტივების ფორმალურად შესრულებას.

დაგეგმვის ახალ წესს ამისავალ საწყისად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ექნება საქონლო პროდუქციის დადგენილი მოცულობა. ამასთან გამოანგარიშება უნდა წარმოებდეს არა ამა თუ იმ კულტურის მოხნული და დათესილი ჰექტარების რაოდენობით, არა ჯოგის სულადობის რაოდენობით, არამედ ჰექტარზე მიღებული მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და მემინდვრეობის სხვა პროდუქტების ცენტნერების რაოდენობით. ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების რაოდენობით. ეს ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის მუშაკთა მეტ დაინტერესებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობას გადიდებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში [illegible] გათვალისწინებულია მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი ზრდა. ზოგიერთმა შეიძლება იკითხოს: რეალურია თუ არა ეს ამოცანა? ამ კითხვაზე შეგვიძლია გავცეთ მხოლოდ ერთი პასუხი: დიახ, ეს სავსებით რეალური ამოცანაა, და ჩვენ გვაქვს ყველა აუცილებელი პირობა მისი წარმატებით გადაჭრისათვის. საჭიროა მხოლოდ სწორად გამოვიყენოთ და ავამოქმედოთ არსებული რეზერვები.

ჩაუფიქრდით, ამხანაგებო, რა ჭეშმარიტად უსაზღვრო შესაძლებლობები მოეპოვება ჩვენს ქვეყანას. 1954 წელს მოწინავე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩვენი ქვეყნის სულ სხვადასხვა ზონაში თვითეულ ძროხაზე მიიღეს საშუალო წველადობა, რომელიც ერთისამად აღემატება საერთო-საკავშირო მაჩვენებლებს, ღორის ხორცი 100 ჰექტარ სახნავზე მიიღეს 4-5-ჯერ მეტი, ხოლო მატყლი თითო ცხვარზე საუკეთესო მეურნეობებმა მიიღეს 2-3-ჯერ მეტი, ვიდრე საშუალოდ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

განა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობას არ შეუძლია მიაღწიოს მოწინავე მეურნეობათა დონეს, მიაღწიოს ასეთსავე შედეგებს? უდავოდ, შეუძლია, თუ ჩვენ ჯეროვნად მოვკიდებთ ხელს მეცხოველეობას.

ღორის ხორცის წარმოების შესახებ

ხორცის წარმოების გადიდების მთავარი რეზერვია უწინარეს ყოვლისა მეღორეობის, როგორც ყველაზე მალემზარდი მეცხოველეობის დარგის განვითარება.

დასახულია ამოცანა ღორის ხორცის წარმოება 1960 წელს 1954 წელთან შედარებით გადიდდეს ერთიორად. ღორის ხორცის წარმოების ძირითადი რაიონები უნდა გახდეს უკრაინა, ჩრდილოეთი კავკასია, ბალტიისპირეთი, ბელორუსია, ცენტრალური არაშავნიადაგიანი და ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქები და დასავლეთ ციმბირი, ყაზახეთის ჩრდილოეთი ოლქები.

ისეთ დიდ ქვეყანაში, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, საჭიროა გამოვიყენოთ ღორის გასუქების ყველა სახეობა. ამიტომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილების პროექტში გათვალისწინებულია გასუქების სახეობანი ცალკეული ზონების თავისებურებათა გათვალისწინებით. ცნობილია, რომ უკრაინის ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, იყენებს რა მარცვლეულს, წარმატებით ახორციელებს ღორის საქონედ გასუქებას. მაგრამ საკითხავია, რატომ უნდა დაგეგმონ ასეთივე ქონის წარმოება ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა, სადაც არის ღორების საბეკონედ გასუქების მრავალი წლის გამოცდილება, სადაც შექმნილია ბეკონის ფაბრიკების ქსელი? ბალტიისპირეთის გლეხებმა იცოდნენ, როგორ მიეღოთ მაღალხარისხოვანი ბეკონი, შექმნეს ამისათვის საჭირო ღორების ტიპი და საკვები ბაზა ცერცველა-შვრიის, ცერცველა-ბარდის და სხვა ნარევის სახით. სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა კი გლეხებს დაავიწყებინეს ეს და ცდილობენ, რომ ბეკონის ნაცვლად აწარმოებდნენ ქონს. ასეთი მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ღორების გასასუქებლად საზოგადოებრივი და ინდივიდუალური კვების ნარჩენების ფართოდ გამოყენებას. მარტო მოსკოვისი და ლენინგრადის სასადილოებსა და ამ ქალაქების მოსახლეობაში შესაძლებელია ყოველდღიურად 400-500 ათასი ტონა საჭმლის ნარჩენის მოგროვება და ასეულ ათასობით ღორის გასუქება. მოსკოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ოქტომბრის X წლისთავი“ საჭმლის ნარჩენებით ყოველწლიურად 35-40 ათას ცენტნერ ღორის ხორცს იღებს. მაგრამ ეს გამოცდილება ცუდად ვრცელდება.

არ შეიძლება შემდგომ შევურიგდეთ სერიოზულ ნაკლოვანებებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეღორეობის მეურნეობის ორგანიზაციაში. დღემდე ძალიან ცუდად იყენებენ დედაპირუტყვის სულადობას. ბევრ კოლმეურნეობაში მხოლოდ ერთხელ ხდება სადედე ღორების დაგოჟიანება, ხოლო ნახევარ წელს კოლმეურნეობები არ იღებენ ამ ღორებიდან არავითარ პროდუქციას, თუმცა სადედე ღორების მოვლა-შენახვაზე დიდძალი საკვები და შრომა იხარჯება. თუ მთლიანად ჩვენს ქვეყანაში სადედე ღორებისაგან მივიღებთ ორ დაგოჟიანებას, ეს საშუალებას მოგვცემს დამატებით მივიღოთ 15-20 მილიონი გოჭი და სულ ცოტა ერთნახევარი-ორი მილიონი ტონა ღორის ხორცი ცოცხალი წონით.

მეღორეობას შეუძლია იყოს და უნდა იყოს მეურნეობის მაღალრენტაბელური დარგი. ტყუილად როდი ამბობს ხალხური ანდაზა: „ღორი გლეხის ყულაბაია“. ეს ყულაბა შეუძლია ყოველ კოლმეურნეობას ჰქონდეს და გაამრავლოს საკოლმეურნეო სიმდიდრე.

ძროხის ხორცის წარმოების გადიდების შესახებ

დასახულია ამოცანა, რომ ძროხის ხორცის წარმოება 1960 წელს 1954 წელთან შედარებით 1,7-ჯერ გადიდდეს.

როგორ შეიძლება უზრუნველვყოთ ეს ზრდა? ძროხას ხორცის წარმოების გადიდების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი რეზერვია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საძოვრებზე გასუქება, ზრდის დასრულება და ბაგური გასუქება. ამ საქმეში შეუწყნარებელი უყაირათობაა. შარშან სახელმწიფოს ჩაბარეს დიდძალი გაუსუქებელი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. ეს პირუტყვი ნორმალურ სიმსუქნემდე რომ აგვეყვანა, დამატებით მივიღებდით ასეულ ათასობით ცენტნერ ხორცს. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ვერ გამონახა და შეძლება ითქვას არც უძებნია შესაბამისი ორგანიზაციული ფორმები პირუტყვის საძოვრებზე გასუქების მოწყობისათვის. ამის შედეგად კოლმეურნეობები, თუმცა ფორმალურად გამოჰყოფდნენ საძოვრებზე გასუქებისათვის პირუტყვის განსაზღვრულ რაოდენობას, იგი ფაქტიურად საერთო ჯოგებში ჰყავდათ. საჭიროა მოწინავე კოლმეურნეობების მაგალითისამებრ შეიქმნას გასასუქებელი პირუტყვის საკოლმეურნეო და საკოლმეურნეო-თანამშრომლო ჯოგები.

პირუტყვის გასუქების საქმე მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესონ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებმა. მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში მიზანშეწონილია მოეწყოს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ჭედილების გასასუქებელი ფერმები, გამოყენებულ იქნას მარცვლეულის მეურნეობის ნარჩენები. საჭიროა აგრეთვე შეიქმნას მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდიულის ზრდის დასრულებისა და გასუქების საბჭოთა მეურნეობების ქსელი.

პირუტყვის გასუქებისა და ზრდის დასრულების განვითარებისათვის დიდი შესაძლებლობანი აქვს ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს. 1953 წელს ამ სამინისტროს გასასუქებელმა მეურნეობებმა მატების ხარჯზე სახელმწიფოს ჩაბარეს 172 ათასი ტონა ხორცი და ქონი. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს ბაზებში უყაირათობის, პირუტყვის არასწორი მოვლა-შენახვის შედეგად დიდი დანაკარგებია. მაგალითად, 1953 წლის 1 ოქტომბრიდან 1954 წლის 1 ოქტომბრამდე პირუტყვის დანაკარგებმა ცოცხალი წონით 42 ათასი ტონა შეადგინა. ეს

(გაგრძელება მე-4 გვერდზე).

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გაგრძელება

იმიტომ ხდება, რომ ბევრ დამამზადებელ ბაზაში მიყვანილი პირუტყვი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ იღებს არც საკვებს, არც წყალს.

ამ სამინისტროს ხელმძღვანელები არათუ არ იღებენ პირუტყვის გასუქების ორგანიზაციის ღონისძიებებს, არამედ იმაზეც კი თიქრობენ, თუ როგორ აიცილონ თავიდან იმ პირუტყვის კვების საჭიროება, რომელიც დამამზადებელ ბაზებში მიჰყავთ. ისინი ცდილობენ ამოეფარონ უცნაურ „თეორიას“, რომლის თანახმად ცხოველს თითქოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეუძლია იყოს უსაკვებოდ და, თუ წყალი აქვს, წონაში არ დაიკლებს. მათ ცდებიც კი დაიწყეს, რათა გაემართლებინათ პირუტყვის მშიერი მოვლა-შენახვის პრაქტიკა. ხორცის მრეწველობის ინსტიტუტის მუშაკები, თავიანთ მოხსენებაში სამინისტროს ხელმძღვანელობისადმი ამ „ცდების“ შემოწმების შედეგების შესახებ წერდნენ: „შიმშილობას პირველი ორი დღე-ღამის განმავლობაში ცხოველები მოუსვენრად იყვნენ, იშიათად წვებოდნენ, ხოლოდნენ, ილოკავდნენ ბეწვს. შემდგომი შიმშილობის დროს ისინი მოდუნებული და უმოძრაო გახდნენ და დადხანს მოკუნტული იწვნენ“.

შეიძლება ვუთხრათ სამინისტროს მუშაკებს, რომ ეს „თეორია“ ახალი არ არის, ეს აშკარა ბლაგიატია. ცნობილია, რომ ხოშაკ ცდილობდა თავისი ფაშატი მიეჩვია უსაკვებოდ ეცოცხლა. იგი მას რვა დღეს არ აჭმევდა და მისი ცდა შეიძლება წარმატებით დაგვირგვინებულიყო, მეცხრე დღეს ფაშატი რომ არ მომკვდარიყო.

ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს მუშაკებმა უნდა განმარტონ, რატომ უშვებენ ისინი ასეთ აღმაშთოთებელ უყაირათობას და აყენებენ ზარალს სახელმწიფოს.

კვერცხისა და ფრინველის ხორცის წარმოების შესახებ

ამჟამად კვერცხი და ფრინველის ხორცი ჩვენს ქვეყანაში ცოტა მზადდება. დასახულია ფრინველის ხორცის წარმოება 1960 წელს 1954 წელთან შედარებით გადიდდეს ორნახევარჯერ-სამჯერ და კვერცხისა 2,2-ჯერ.

ბევრი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები უყურადღებოდ ეკიდებიან მეფრინველეობას, იგი მიაჩნიათ მცირეშემოსავლიანად, ეკონომიური თვალსაზრისით არახელსაყრელად. მაგრამ ჩვეულებრივად ისინი ჩივიან, ვისი ქათმებიც არა უბრალო, არამედ „ოქროს“ კვერცხებს დებენ. გახსოვთ ხალხური ზღაპარი: „ქათამმა კვერცხი დადო არა უბრალო, არამედ ოქროსი“. აი ასეთ კვერცხებს დებენ, მაგალითად, ქათმები ტულის ოლქის ჩკირიატოვის რაიონში. ამ რაიონის კოლმეურნეობებში ერთ კვერცხმდებელ ქათამზე საშუალოდ წელიწადში იღებენ 6-16 კვერცხს. მთლიანად რაიონში 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესებზე იღებენ 340 კვერცხს, ანუ 3 კვერცხს ჰექტარზე. თვითეული კვერცხი აქ თურმე უბრალო კი არა, ოქროსია.

ამჟამად მეფრინველეობა ძალიან დაქსაქსულია. მეფრინველეობის ფერმებში ხშირად ჰყავთ მხოლოდ 100-200 ქათამი. გეზი უნდა ავიღოთ მეფრინველეობის დიდი ფერმების შექმნაზე, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ფართოდ მექანიზებულ იქნას სამუშაოები და გაიდიდდეს შრომის ნაყოფიერება. საჭიროა უახლოეს წლებში მოეწყოს დიდი სამრეწველო მეფრინველეობა კოლმეურნეობებში, რომლებსაც მარცვლეულის განვითარებული მეურნეობა აქვთ.

საჭიროა საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ შექმნას მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში, განსაკუთრებით ყამირი მიწების ათვისების რაიონებში, მეფრინველეობის სამრეწველო მნიშვნელობის ფერმები. ეს მეურნეობები მომგები და შემოსავლიანი იქნება, იქ საჭიროა მოვახდინოთ შრომის ძირითადი პროცესების მექანიზაცია.

ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრომ დიდი ქალაქების გარშემო უნდა მოაწყოს მეფრინველეობის სპეციალური ფაბრიკები. ამ მხრივ ჩვენ სასარგებლო გამოცდილება გვაქვს. მოსკოვის ოლქის ტომილინოს მეფრინველეობის ფაბრიკაში, რომელსაც 141 ათასი ფრთა ჰყავს, თვითეულ კვერცხმდებელ დედალზე შარშან მიღებულია 190 კვერცხი, ხოლო სულ ფაბრიკამ წელიწადში მოგვცა 24 მილიონზე მეტი კვერცხი, რვა ათასხუთასი ცენტნერი დიეტური ხორცი და 7 მილიონ 370 ათასი მანეთი მოგება მიიღო. საჭიროა განვაგრძოთ მუშაობა მოსკოვის გარშემო მეფრინველეობის ფაბრიკების შესაქმნელად, ასეთი ფაბრიკები მოვაწყოთ ლენინგრადის, კიევის, სვერდლოვსკის, მოლოტოვის, სტალინოს, ომსკის, ნოვოსიბირსკის, ხარკოვისა და სხვა ქალაქების გარშემო.

მოვაწყობთ რა დიდ სამრეწველო მეფრინველეობას, ჩვენ ფართოდ უნდა განვახორციელოთ შრომის მექანიზაცია მეფრინველეობის ფერმებში, ამასთან გამოვიყენოთ როგორც ჩვენი მოწინავე მეურნეობების გამოცდილება, ისე მეფრინველეობის მიღწევები უცხოეთში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წყლის ფრინველის მოშენებას. ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონში უხვად არის მდელო-საძოვრები და წყალსაცავები კარგი საკვებით იხვებისა და ბატებისათვის. წყალსაცავებით მდიდარია ციმბირი, იქ ბევრია გარეული ბატი და იხვი, ხოლო შინაური მეტად და მეტად ცოტა. წყალსაცავების აყირაოთიანად გამოყენებისას შეიძლება მოვაშენოთ რამდენიმე მილიონი იხვი და ბატი.

ჩვენს ქვეყანაში მეფრინველეობის თითქმის 2.500 საინკუბატორო სადგურია ინკუბატორთა 500 მილიონამდე კვერცხის საერთო სიმძლავრით. უნდა მოვახდინოთ ამ სადგურების რეორგანიზაცია და მათ, კვერცხის ინკუბაციის გარდა, დავაკისროთ სახორცე ფრინველის გაზრდისა და გასუქების ამოცანა.

რძის წარმოების შესახებ

იმისათვის, რომ 1960 წელს ჩვენს ქვეყანაში გავადიდოთ რძის წარმოება ერთიორად, საჭიროა ავამაღლოთ წველადობა ჩვენს ქვეყანაში საშუალოდ თვითეულ ძროხაზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 500-600 კილოგრამამდე. შეგვიძლია თუ არა მივაღწიოთ ასეთ მატებას?

როცა მოხსენებისათვის ვემზადებოდი, ამ საკითხზე ვესაუბრე ბევრ მუშაკს. ისინი სხვადასხვა აზრისა იყვნენ. ზოგ ამხანაგს წველადობის ასეთი ზრდა რეალურად მიაჩნია, სხვები გვირჩევენ დავგეგმოთ წველადობის მატება ექვს წელიწადში მხოლოდ 250-300 კილოგრამამდე ძროხაზე, ესე იგი 50-60 კილოგრამამდე წელიწადში. ამასთან თავიანთ წინადადებათა დასასაბუთებლად იმას იმოწმებენ, რომ უკანასკნელ წლებში საშუალო წველადობა კოლმეურნეობებში თითქმის არ გადიდებულა. ასეთი მიდგომა არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ: ჩვენ უნდა დავეყრდნოთ არა წარსული, უნდა ითქვას, არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგებს, არამედ ჩვენს რეალურ შესაძლებლობებს, რომლებიც ნებას გვაძლევს მეწველი პირუტყვის პროდუქტიულობის აღმავლობის ამოცანა გადავწყვიტოთ დასახულ ვადებზე ადრეც კი, თუ საქმეს ჯეროვნად მოვკიდებთ ხელს.

ამიტომ ის ამხანაგები, რომელსაც წველადობის დასახული ზრდა 500-600 კილოგრამის რაოდენობით მიღწეველ ციფრად მიაჩნიათ, უნდა დაგვეთანხმონ, რომ ეს ციფრი რეალურია, მისი მიღწევა 1960 წელზე ადრეც შეიძლება. ამაში ჩვენ გვარწმუნებს მრავალი მაგალითი. 1954 წელს ჩვენი ქვეყნის სულ სხვადასხვა ზონაში მიღწეულია წველადობის შემდეგი მატება კოლმეურნეობებში: ტერნოპოლის ოლქში — 564 კილოგრამი საშუალოდ ძროხაზე, ჩელიაბინსკის ოლქში — 508, ჩერნოვიცის ოლქში — 435, რიაზანის ოლქში — 412, ვორონეჟის ოლქში — 411 კილოგრამი. ვინიცის ოლქის ვინიცის რაიონში თვითეულ ძროხაზე წელიწადში მიიღეს 3.044 კილოგრამი რძე, ამასთან 1954 წელს წველადობა 403 კილოგრამით გადიდდა. არის ისეთი რაიონები და კოლმეურნეობებიც, სადაც წლის განმავლობაში თითო ძროხის წველადობა გადიდდა 800-1.000 და მეტი კილოგრამით.

უნდა ითქვას, რომ დასახელებულ ოლქებში გაწეულია ელემენტარული მუშაობა მერძეული ჯოგის პროდუქტიულობის გასაადიდებლად: გაუმჯობესდა პირუტყვის ძოვება, გადიდდა წვნიანი საკვების დამზადება, განსაკუთრებით სილოსისა, მოწესრიგებულია პირუტყვის მოვლა. და განა ეს მიუწვდომელია სხვა რაიონებისათვის? თუ კოლმეურნეობები, რაიონები და მთელი ოლქებიც კი წელიწადში წველადობას ადიდებენ 400-500 და მეტი კილოგრამით, მაშინ არსებობს იმის ყველა საფუძველი, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ექვს წელიწადში უზრუნველვყოთ თვითეული ძროხის წველადობის გადიდება მთლიანად ჩვენს ქვეყანაში 500-600 კილოგრამით. ამასთან ერთად უნდა მივიღოთ სერიოზული ღონისძიებანი ძროხის სულადობის გადიდებისა და მისი ბერწიანობის ლიკვიდაციისათვის.

მატყლის წარმოების გადიდების შესახებ

ამჟამად მატყლის წარმოების დონე სრულიად ვერ აკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

უახლოეს ექვს წელიწადში მატყლის წარმოება უნდა გადიდდეს 1,8-ჯერ, აქედან ნახი მატყლისა — 4-ჯერ.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ნაზმატყლიანი მეცხვარეობის განვითარებას, რომელიც ყველაზე შემოსავლიანია, უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის დიდ ნაპარსს, რაც საჭიროა შალის ქსოვილების დასამზადებლად.

ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ აგრეთვე იმისათვის, რომ იმ რაიონებში, სადაც ამის შესაძლებლობაა, განვითარდეს საქურქე მეცხვარეობა, გადიდდეს უხეში მატყლის წარმოება, რასაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

რათა უზრუნველვყოთ მატყლის წარმოების ესოდენ დიდი ზრდა, საჭიროა უკეთ გამოვიყენოთ ცალკეული ზონების ბუნებრივი და ეკონომიური პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ მეცხვარეობის განვითარებას. მტკიცე საკვები ბაზა უნდა შევუქმნათ მეცხვარეობას, გამოუყენებელი სადოვრები უზრუნველვყოთ წყლით, განვახორციელოთ ჭებიდან წყლის ამოღების მექანიზაცია.

ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ნაპარსის გადიდების არსებული რეზერვები უწინარეს ყოვლისა ცხვრის ჯიშის გაუმჯობესებით. ნაზმატყლიანი მეცხვარეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოველთა მეტიზაციას და ხელოვნურ დათესლვას. საჭიროა თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიხედვით შევიმუშაოთ სულადობის გაუმჯობესების კონკრეტული გეგმა, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ცხოველთა ხელოვნური დათესლვა. საჭიროა სერიოზულად გავაუმჯობესოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხვარეობის ვეტერინარული მომსახურება.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმები უნდა განამტკიცოთ გამოცდილ მწყემსთა კადრებით, შევუქმნათ მათ საყოფაცხოვრებო პირობები, შემოვიღოთ მწყემსების შრომის გარანტირებული ანაზღაურება მარცვლეულითა და ფულით, უზრუნველვყოთ ისინი კოლმეურნეობების ხარჯზე საწარმოო ტანსაცმლით.

სსრ კავშირში ნაზი და ნახევრადნაზი მატყლის წარმოების ძირითადი რაიონებია ჩრდილოეთ კავკასია, უკრაინა, ქვემო და შუა ვოლგისპირეთი. ახლა ამ ზონაზე მოდის ჩვენს ქვეყანაში წარმოებული ნაზი მატყლის სამი მეოთხედი. მაგრამ ჩვენ გვაქვს კიდევ უდიდესი გამოუყენებელი შესაძლებლობანი ნაზმატყლიანი მეცხვარეობის შემდგომი განვითარებისათვის ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებშიც.

ნაზმატყლიანი მეცხვარეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებია დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირში, განსაკუთრებით ჩიტის ოლქში და ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკაში.

ბევრი ნაზი მატყლი შეიძლება ვაწარმოოთ ყაზახეთში და შუა აზიის რესპუბლიკებში. ამხანაგებმა ტაჯიკეთიდან და უზბეკეთიდან, შუა აზიის სხვა რესპუბლიკებიდან და ყაზახეთიდან სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი მეცხვარეობის განვითარებას და ამისათვის გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების პროექტში დასახულია დიდი ამოცანები მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების გადიდების დარგში.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა, სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებმა უნდა შეიმუშაონ 1955-1960 წლებში რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის ღონისძიებანი და ეს ღონისძიებანი განსახილველად წარმოუდგინონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 1 მაისისათვის. ეს მუშაობა უნდა დაიწყოს ქვევიდან. საჭიროა თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა და სპეციალისტთა ფართო მასების მონაწილეობით ყოველმხრივ და ზედმიწევნით შევისწავლოთ ადგილობრივი შესაძლებლობანი, განვაზოგადოთ არსებული გამოცდილება და შევიმუშაოთ ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების კონკრეტული ღონისძიებანი.

ცალკეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ღონისძიებათა საფუძველზე უნდა შემუშავდეს რაიონების, შემდეგ კი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების გეგმები. საქმისადმი ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ სოფლის მეურნეობის მშრომელთა ფართო მასების აქტივობა, კიდევ უფრო მეტად განვავითაროთ მათი ინიციატივა, გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ უშრეტი ადგილობრივი რესურსები და შესაძლებლობანი. პარტიული ორგანიზაციების ღირსების საქმეა სათავეში ჩაუდგნენ ამ მუშაობას, რომელსაც უდიდესი სახალხოსამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის შეთანხმება ინდოეთში მეზაღუჩგიული ქარხნის მშენებლობის შესახებ

დელში წარმატებით დამთავრდა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მხარეთა წარმომადგენლების მოლაპარაკება, რომლის შედეგად 1955 წლის 2 თებერვალს ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირის მთავრობასა და ინდოეთის მთავრობას შორის ინდოეთში წელიწადში 1 მილიონი ტონა ფოლადის სიმძლავრის კომპლექსური მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის შესახებ, ამასთან უზრუნველყოფილ უნდა იქნას ქარხნის სიმძლავრის გაფართოება.

ქარხანას ექნება შემდეგი ძირითადი საამქროები: საკოქსე, სპრძმედე, ფოლადსამსხმელო, საგლინავი, აგლომერაციული დანადგარი და სხვა დამხმარე საამქროები და ობიექტები.

ქარხნის პირველი რიგი — 3 საკოქსე ბატარეა, 2 ბრძმედი, 2 მარტენის ღუმელი და ბლუმინგი — უნდა ამუშავდეს 1958 წლის დამლევამდე და დანარჩენი საამქროები — 1959 წლის დამლევამდე.

შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა ორგანიზაციები შეასრულებენ საპროექტო სამუშაოებს, დაამზადებენ და ინდოეთს მიაწვდიან საჭირო მოწყობილობას და გაუწევენ ტექნიკურ ხელმძღვანელობას ქარხნის მშენებლობას, მოწყობილობის მონტაჟისა და ამუშავების ჩათვლით.

იმ სამუშაოთა განსახორციელებლად, რომლებიც დაკავშირებულია ქარხნის დაპროექტებასთან, მშენებლობასა და ამუშავებასთან, საბჭოთა ორგანიზაციები ინდოეთში გაგზავნიან სპეციალისტებს საჭირო რაოდენობით, აგრეთვე იკისრებენ ასწავლონ ინდოელ პერსონალს როგორც ინდოეთში, ისე საბჭოთა კავშირში. გარდა ამისა, ინდოელ სპეციალისტებს შესაძლებლობა მიეცემათ სსრ კავშირში გაიცნონ მეტალურგიული ქარხნები და საწარმოები, რომლებიც მეტალურგიულ მოწყობილობას ამზადებენ.

შეთანხმებით გათვალისწინებულია ინდოეთის მრეწველობის მაქსიმალური გამოყენება მეტალურგიული ქარხნის მშენებლობისათვის მოწყობილობის ნაწილისა და მასალების დასამზადებლად.

თავის მხრივ ინდოეთის ორგანიზაციები იკისრებენ ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას ქარხნის მშენებლობისადმი, განახორციელებენ მოსამზადებელ სამუშაოებს და უზრუნველყოფენ მშენებლობას მასალებითა და მუშახელით.

ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობა ინდოეთის მთავრობას მისცემს კრედიტს 12 წლის ვადით, ამასთან დაფარვა მოხდება ყოველწლიურად თანაბარ ნაწილებად და წლიური 2,5 პროცენტის გადახდით. კრედიტი დაიფარება ინდოეთის ეროვნული ვალუტით — რუპიით.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეთანხმებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის ელჩმა ინდოეთში მ. ა. მენშიკოვმა, ინდოეთის მხრივ — ინდოეთის წარმოების სამინისტროს მთავრობის მდივანმა კერამ.

შეთანხმება ინდოეთში საბჭოთა კავშირის დახმარებით მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის შესახებ მნიშვნელოვანი წვლილია ორივე ქვეყანას შორის ურთიერთ ხელსაყრელი ეკონომიური კავშირის განვითარების საქმეში. (საკდესი).

ამომრჩეველთა შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან

2 თებერვალს დიდუბის № 8 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის მოწინავე მქსოველს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს ამხ. მარიამ ივანეს ასულ რაზმაძეს.

შეხვედრა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. შ. გურგენიძემ. სიტყვები წარმოთქვეს კომბინატის მთავარმა ინჟინერმა ამხ. ს. ამაშუკელმა, სამონტაჟო სამმართველოს ბუხგალტერმა ამხ. მ. სუშკოვამ, საქსოვი საამქროს უფროსმა ი. ფერაძემ და სხვებმა. გამოსულებმა მაღალი შეფასება მისცეს ამხ. რაზმაძის შრომითს და საზოგადოებრივ საქმიანობას და გამოხატეს ამომრჩეველთა გადაწყვეტილება 27 თებერვალს ერთსულოვნად აირჩიონ იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ჩელუსკინელების № 12 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, პარტიის თბილისის სტალინის რაიკომის მდივანთან ამხ. ვახტანგ ანდრიასძე პეტრიაშვილთან შეხვედრაში.

დეპუტატობის კანდიდატებთან ამომრჩეველთა შეხვედრების წინ გამართულ საოლქო წინასაარჩევნო კრებებზე მიღებულია მიმართვები, რომლებიც მოუწოდებენ ამომრჩევლებს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 1 თებერვალი. (საკდესი). გუშინდელ დღის სხდომაზე უშიშროების საბჭო განაგრძობდა წინასწარი დღის წესრიგის განხილვას.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, დღის წესრიგშია საკითხი — „ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება კუნძულ ტაივანისა და ჩინეთის სხვა კუნძულების რაიონში“, რომელიც სსრ კავშირის დელეგაციამ შეიტანა. ამ საკითხზე საბჭოთა დელეგაციამ უშიშროების საბჭოს წარუდგინა რეზოლუციის პროექტი, რომლის მიზანია ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების შეწყვეტა. გარდა ამისა დღის წესრიგში არის ახალი ზელანდიის დელეგაციის მიერ შეტანილი საკითხი „საომარი მოქმედების შესახებ ზოგიერთი კუნძულის რაიონში ჩინეთის სანაპიროს მახლობლად“.

დღის სხდომაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენლები პირველ პლანზე აყენებდნენ ახალი ზელანდიის მიერ შეტანილ საკითხს, ცდილობდნენ რა საპროცედურო მანევრის გზით თავიდან აეცილებინათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინაღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების საკითხის განხილვა.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა მხარი დაუჭირა ახალი ზელანდიის წინადადებას. გვერდი აუარა რა საკითხს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების შესახებ, რომელიც ქმნის ამ საფრთხეს, ამერიკის დელეგატმა სცადა საშიში მდგომარეობის შექმნა დაებრალებინა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისთვის და მიეჩქმალა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება შორეულ აღმოსავლეთში. იგი ამტკიცებდა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ ჩანკაიშელთა ბანდებისაგან ჩინეთის კუნძულ ძიანშანის განთავისუფლება თითქოს „მიტაცება“ არის, ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქმედებას მან „აგრესიული“ უწოდა. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ცდილობდა შეექმნა შთაბეჭდილება თითქოს საქმის მთელი ვითარება სანაპირო კუნძულებზე საომარი მოქმედების შეწყვეტით ამოიწურებოდეს. მან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წერილი და კონგრესის გადაწყვეტილება, რომლითაც ნებადართულია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევა ჩინეთის საშინაო საქმეებში, დაახასიათა როგორც... „თავდაცვითი“ ღონისძიებანი. ამერიკის დელეგატმა განაცხადა, რომ მას არაფერი აქვს საწინააღმდეგო შეიტანონ დღის წესრიგში საკითხი, რომელიც საბჭოთა კავშირმა წარადგინა.

ინგლისის წარმომადგენელ დიკსონი გამოვიდა შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკის ადვოკატის როლში. იგი ამტკიცებდა, თითქოს ამერიკის შეერთებულ შტატებს სურდეთ მშვიდობა ამყარონ. ინგლისის დელეგატმა განაცხადა, რომ, მისი დელეგაციის აზრით, საბჭოს დღის წესრიგში უნდა შეიტანონ როგორც ახალი ზელანდიის წინადადება, ისე საბჭოთა კავშირის წინადადებაც. მაგრამ მან თქვა, რომ საჭიროა ჯერ განიხილონ ახალი ზელანდიის წინადადება და საბჭოთა კავშირის მიერ შეტანილი საკითხის განხილვა არ დაიწყონ მანამდე, სანამ საბჭო არ დაამთავრებს ახალი ზელანდიის საკითხის განხილვას და არ მიიღებს გადაწყვეტილებას ამ საკითხზე. ბრაზილიის, ბელგიის, პერუს, თურქეთის, ირანის, საფრანგეთის წარმომადგენლებმა და ჩანკაიშელმა მოითხოვეს პირველ რიგში განეხილათ საკითხი, რომელიც ახალი ზელანდიის დელეგაციამ შეიტანა.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა აღნიშნა, რომ თავის გამოსვლაში ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა აღიარა, რომ შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობა საფრთხეშია. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა აქ განაცხადა, თქვა სობოლევმა, რომ ეს საფრთხე შეიძლება აღიკვეთოს ჩინეთის სანაპირო კუნძულებზე ცეცხლის შეწყვეტით. მაგრამ შეერთებული შტატების წარმომადგენელს არ უთქვამს, როგორ შეიძლება ცეცხლის შეწყვეტა, საომარი მოქმედების შეწყვეტა, თუ არ აღმოიფხვრა მიზეზები, რომლებიც მას იწვევენ. ხოლო ეს მიზეზები გამოიხატება იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ აგრესიულ მოქმედებას ჩინეთის ტერიტორიის მიმართ და ფაქტიურად დაიკავეს ჩინეთის კუნძულები ტაივანი და პენხულედაო. ამ საკითხს ბ-ნმა ლოჯმა განზრახ აუარა გვერდი თავის გამოსვლაში და არაფერი უთქვამს მის შესახებ.

არა გვგონია ბ-ნმა ლოჯმა, განაგრძო საბჭოთა დელეგატმა, უარყოს, რომ შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები ეხმარებიან ჩანკაიშელთა ხროვას და მის პროვოკაციულ მოქმედებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. ეს დახმარება სულ უფრო ფართოვდება და იწვევს ამ რაიონში ომის საფრთხის შემდგომი გაფართოების საშიშროებას. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი აგრეთვე ვერ უარყოფს, რომ შეერთებული შტატები უკვე აშკარად იხილავენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების დიდი შეიარაღებული ძალების ამოქმედების გეგმებს. ხოლო, თუ ეს ასეა, ცხადია, რომ სანაპირო კუნძულებზე საომარი მოქმედების მარტოოდენ შეწყვეტას ვერ მოჰყვება ის სასურველი შედეგი, რომელზეც აქ ლაპარაკობდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი, ე. ი. ვერ აღმოიფხვრება საფრთხე, ვერ მოისპობა დაძაბულობა შორეულ აღმოსავლეთში.

ომის საფრთხის მოსასპობად, თქვა სსრ კავშირის დელეგატმა, საჭიროა მოისპოს საფრთხის გამომწვევი მიზეზები. ხოლო ეს მიზეზი, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნავდით, არის შეერთებული შტატების ჩარევა ჩინეთის საშინაო საქმეებში, მიზეზი არის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ყოფნა ჩინეთის ტერიტორიაზე და მათი აგრესიული მოქმედება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ.

სობოლევმა აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციის პოზიცია საკითხში ომის შესახებ, რომ უშიშროების საბჭოს წინაშე დასმული საკითხების განხილვაში მონაწილეობისათვის მოწვეულ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი, გამოხატულია რეზოლუციის პროექტში, რომელიც საბჭოთა კავშირმა წარადგინა უშიშროების საბჭოში. ეს პოზიცია ამით გამოიხატება, რომ საბჭოთა დელეგაციას შემოაქვს წინადადება — „მოწვეულ იქნეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც შეეხება შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ კუნძულ ტაივანისა და ჩინეთის სხვა კუნძულების რაიონში.

სსრ კავშირის დელეგატმა განაცხადა, რომ უფრო სწორი იქნებოდა დღის წესრიგის პუნქტების განხილვის რიგითობის საკითხი გადაწყვეტილიყო მას შემდეგ, რაც უშიშროების საბჭო დაამტკიცებს თავის დღის წესრიგს.

ჩვენ მოვითხოვთ, განაცხადა სობოლევმა, რომ უშიშროების საბჭომ განიხილოს საკითხი შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, და უარყოფთ ახალი ზელანდიის წინადადებას, რადგან ეს წინადადება არ ეხება იმ მიზეზების არსს, რომლებიც იწვევენ ურთიერთობის გამწვავებას შორეულ აღმოსავლეთში, იმ მიზეზების არსს, რომლებიც ქმნიან ომის საფრთხეს.

ამის შემდეგ ინგლისის წარმომადგენელმა დიკსონმა ოფიციალურად შეიტანა წინადადება, რომ უშიშროების საბჭომ, უწინარეს ყოვლისა, კენჭისყრით გადაწყვიტოს შეიტანოს თუ არა დღის წესრიგში საკითხი, რომელიც შემოაქვს ახალ ზელანდიას, ხოლო შემდეგ — შეიტანოს თუ არა დღის წესრიგში საკითხი, რომელიც საბჭოთა კავშირმა წარმომადგენელმა სობოლევმა საბჭოს უმრავლესობას მოუწოდა დაეცა დღის წესრიგის დამტკიცების პროცედურის მიღებული წესები. სსრ კავშირის წარმომადგენელმა ინგლისის წინადადებაში, შეიტანოს შესწორება, რომელიც მოითხოვს, რომ სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილი საკითხი პირველ რიგში განიხილონ. ეს შესწორება უარყვეს.

საბჭოს უმრავლესობამ დღის წესრიგში შეიტანა ახალი ზელანდიის მიერ წარდგენილი საკითხი. სსრ კავშირის წარმომადგენელმა წინაღმდეგ მისცა ხმა. შემდეგ დღის წესრიგში შეიტანეს სსრ კავშირის დელეგაციის მიერ წარდგენილი საკითხი — „ამერიკის შეერთებულ შტატების აგრესიული მოქმედება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ კუნძულ ტაივანისა და ჩინეთის სხვა კუნძულების რაიონში“. წინაღმდეგ ხმა მისცა მარტო ჩანკაიშელმა.

შემდეგ საბჭო შეუდგა დამტკიცებული დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვას, ე. ი. ახალი ზელანდიის მიერ შეტანილი საკითხის საომარი მოქმედების შესახებ ჩინეთის კონტინენტის სანაპიროს ახლო მდებარე ზოგიერთი კუნძულის რაიონში.

ახალი ზელანდიის დელეგატმა შეიტანა წინადადება, რომ უშიშროების საბჭომ მოიწვიოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის წარმომადგენელი, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა ახალი ზელანდიის მიერ წარდგენილი საკითხის განხილვაში და რომ საბჭომ სთხოვოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნოს ეს მიწვევა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა. ამერიკის შეერთებულ შტატების წარმომადგენელმა შენიშნა: მე რომ მხარს ვუჭერ ამ წინადადებას, ეს არ ეხება ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხში და იმ პოზიციას, რომ შეერთებული შტატები არ ცნობენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობას.

რამდენადაც ახალი ზელანდიის წარმომადგენლის წინადადებაში ლაპარაკი იყო მხოლოდ იმაზე, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი მიიწვიონ „საომარი მოქმედების შეწყვეტის